



ახალი განათლება

2009 წელი, 30 აპრილი - 6 მაისი

ფასი 90 თეთრი

№16 (450) გამოდის 1998 წლიდან



**ენიუპნელოპანია
საესილოგაუი
სოლნის შემოწევა
გვერდი 2**

**განათლება და
კითხვები
ერთგანათს უნდა
უკავშირდებოდეს
გვერდი 3**

**ზოგადი განათლება -
სკოლა, დაფინანსება
და პრობლემები
გვერდი 5**



გამოსვლის ეროვნული ცენტრი 27 აპრილიდან იწყებს მუშაობას კანდიდატთა რეგისტრაციას საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის

2009 წლიდან სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად მაგისტრანტობის კანდიდატები ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო გამოცდას.

საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა:

- ყველა აკრედიტებული სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად;
- იმ აკრედიტებული კერძო უმაღლესი სასწავლებლების სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად, რომლებიც გაერთიანდნენ ერთიან სამაგისტრო საგამოცდო ქსელში (2010 წლიდან საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება სავალდებულო გახდება ყველა აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად);
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება მაგისტრანტობის იმ კანდიდატებს, რომლებსაც სურთ სწავლის გაგრძელება საშემსრულებლო საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამებზე.

რეგისტრაციის გავლა საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის დაიწყოს 27 აპრილს და გაგრძელდება 25 მაისის ჩათვლით.

რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია ნებისმიერ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში.

მაგისტრობის მსურველები დეტალურ ინფორმაციას მიიღებენ გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე www.naec.ge ან უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციებში.

საერთო სამაგისტრო გამოცდა ჩატარდება ივლისში, ერთიანი ეროვნული გამოცდების პერიოდში.

მაგისტრანტობის კანდიდატს, საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, განაცხადი შეაქვს კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე.

სამაგისტრო გამოცდის მიზანია:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველთა უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენა.

**ძვირფასო
მკითხველო!**

ვაგრძელებთ რუბრიკას: „წარმოგიდგინებთ კერძო სკოლას“. ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გაგაცანიტ GLC-სკოლა. დღეს შემოგთავაზებთ ინფორმაციას სკოლა-ლიცეუმის „მნიგნობართუხუცესი“ შესახებ. შეგახსენებთ, რომ მსურველებს საშუალება ექნებათ, ჩვენი გაზეთის ვებგვერდზე – www.axaliganatleba.ge ამა თუ იმ სკოლისთვის ხმის მიცემით, გამოავლინონ მაღალი რეიტინგის მქონე სასწავლო დაწესებულება.

ვთავაზობთ კერძო სკოლებს, საქართველოს მასშტაბით, მოგვანოდონ ინფორმაცია თავიანთ სასწავლებლებზე, 2009 წლის ნოემბრის ჩათვლით. ხმის მიცემა 2009 წლის 15 დეკემბერს შეწყდება, შედეგები შეჯამდება და სამი მაღალი რეიტინგის მქონე სკოლა რედაქციისგან „ახალის განათლების“ 2010 წლის ხელმოწერით დასაჩუქრდება.

„ახალი განათლების“ რედაქცია



ბანათლებულობა და კითილდდობა ერთმანეთს უნდა უკავშირდებოდეს

24 აპრილს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, 24-ე საჯარო სკოლისა და პარტნიორი სკოლების ეგიდით მოწყობილი კონკურსის „**გწერ თავისუფალ თემას**“ გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

კონკურსში მონაწილეობა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული X-XII კლასების 300-მდე მოსწავლე საქართველოს რეგიონებისა და დედაქალაქის სკოლებიდან. თავისუფალი თემის დასაწერად მონაწილეებს შესთავაზეს 10 სათაური სხვადასხვა ჰუმანიტარული სფეროდან, მათ შორის – ლიტერატურრიდან, ისტორიიდან, ხელოვნებიდან, ფილოსოფიიდან.

მწერლების, ლიტერატორების, პედაგოგებისა და ჟურნალისტებისაგან დაკომპლექტებულმა კომპეტენტურმა ჟიურმა 17 გამარჯვებული გამოავლინა. გამარჯვებულ მოსწავლეებს შორის არიან თბილისის, გორის, ჩოხატაურის, ხაშურის, გარდაბნის, საგარეჯოს, სოფ. დიდმის საჯარო სკოლების მოსწავლეები.

გია მურღულია, 24-ე საჯარო სკოლის დირექტორი, ჟიურის თავმჯდომარე: „კონკურსი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. მასში, თითქმის, მთელი საქართველოდან მიიღეს ბავშვებმა მონაწილეობა. პირობა ასეთი იყო – სკოლებს კონკურსისთვის უნდა შეერჩიათ საუკეთესო მოსწავლეები. უნდა გითხრათ, რომ კონკურსის შედეგი არის დამაფიქრებელი და, ამავდროულად, გასახარებელიც. გასახარებელია იმიტომ, რომ გამოვლინდნენ მოსწავლეები, რომლებმაც წერის, აზროვნების შესანიშნავი კულტურა გამოავლინეს, ხოლო ზოგად სურათს რაც შეეხება, ვისურვებდი, რომ ყოფილიყო უკეთესი. როდესაც სკოლებს ვთხოვთ, რომ საუკეთესო მოსწავლეები გამოვლენონ და ზოგიერთი მათგანი წაყვებულ მოთხოვნებს ძალიან ნაკლებად აკმაყოფილებს, ეს, ალბათ, ადმინისტრატორთა კულტურაზე უფრო მიუთითებს, ვიდრე, ვთქვით, სხვა პრობლემაზე. ამიტომ ვთხოვთ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას, რომ ზუსტად განვსაზღვროთ სტრატეგია ლიტერატურის სწავლების. ამაზე ჩვენ დიდი ხანია ვფიქრობთ, როგორც ჩანს უფრო მეტი ფიქრი გვმართებს, რომ კარგად ვასწავლოთ ბავშვებს წერა, რადგან წერის კულტურა ძალიან მნიშვნელოვანი კულტურაა. გამოიკვეთა ერთი რამ, მაგალითად, ტესტირების მოძალებამ ცოტა დაასუსტა ყურადღება თხზულების მიმართ. ეს აშკარად იკვეთება. არადა ტესტირება ეს არის არსებითად ფიქრის შედეგის კონტროლი.

თხზულების დაწერა შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ფიქრის პროცესს გავადევნოთ თვალი და ეს შესაფასებლად გაცილებით მარტივია. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ძალიან გონიერი და ნიჭიერი ბავშვები გვყავს, ეს ნიჭიერება მათ თხზულებებში ნამდვილად იგრძნობა, მაგრამ არ იგრძნობა სკოლა ამ ნიჭიერების გასავითარებლად. თხზულებებში გამოიკვეთა ორიგინალური რაკურსის ნაკლებობა, ხედვის სხვადასხვაობის სიმწირე, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ, პრაქტიკულად, ბევრ ნაწერში დავინახეთ, რომ არსებობს უზარმაზარი პოტენციალი, რომელსაც აუცილებლად ხელი უნდა შეეწყო. მოგეხსენებათ, კონკურსი უკვე მეოთხედ ჩატარდა. სამწუხაროდ, გასულ წლებთან შედარებით, წელს დიდ სხვაობას ვერ ვხედავ, დაახლოებით ერთნაირი დონეა. ამიტომაც მოგვიწევს ძალიან ბევრი მუშაობა, რომ ეს დონე ავამაღლოთ. მე მინახავს რამდენიმე ქვეყნის მიერ გამოცემული ანალოგიური კრებულები, რომლის დაბეჭდვასაც ჩვენ ვფიქრობთ და უნდა გითხრათ, რომ ძალიან მაღალი დონეა. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებს, პირველ რიგში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომელთა დაწესებულება პრიზებში მართლაც გაახარეს ეს ბავშვები. ისინი თანდათანობით მიხვდებიან, რომ განათლებულობა და კითილდდობა ერთმანეთს უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს. სხვაგვარად განათლების წაქეზება სახელმწიფოსაგან არ და ვერ ხერხდება.“

დაჯილდოების ცერემონია განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **ნიკა გვარამია**მ გახსნა. მან მისასალმებელი სიტყვები მადლობა გადაუხადა კონკურსის ორგანიზატორს, 24-ე საჯარო სკოლის დირექტორს, გია მურღულიას, კონკურსის პარტნიორ ორგანიზაციებს, მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და ჟიურის წევრებს. „თავად ვნახე მოსწავლეები, რომლებიც წერდნენ თავისუფალ თემას. მათ ძალიან საინტერესო თემებზე მოუწიათ მუშაობა, გააკეთეს არჩევანი და შექმნეს არაჩვეულებრივი თხზულებები. სამინისტროს ამოცანაა მსგავსი ინიციატივების ნახალისება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, 17 გამარჯვებულ მოსწავლეს ლეპტოპებს გადავცემთ.“

აუდიტორიას საკუთარი მოსაზრება ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა, ჟურნალისტმა **დაჩი გარძელიშვილმა** გაუზიარა: „ეს მართლაც საინტერესო ნამოყვებაა, რაც უფრო მეტი იქნება ასეთი შემთხვევები, ვგულისხმობ რაც უფრო მეტი შე-

საძლებლობას მივცემთ მოსწავლეებს გამოხატონ საკუთარი შეხედულებები, დააფიქსირონ საკუთარი აზრი, მით უფრო კარგი იქნება. მე, როგორც ჟიურის წევრი, გავეცანი ბავშვების თხზულებებს, ძალიან კმაყოფილი ვარ მათი განათლების დონით, წერის კულტურით, პატრიოტიზმით, ტოლერანტობით. მთავარია, ეს ნამოყვება არ იყოს ერთი რიგითი, იგი უნდა გადაიქცეს უფრო მასშტაბურად, ეს ნამდვილად რეალობაა, რადგან ამ კონკურსის სათავეში ბატონი ვია მურღულია უდგას. კარგია, რომ მასში აქტიურად ჩაერთო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროც, მოსწავლეების ნამუშევრმა დიდი საიმედოება მომანიჭეს.“

კონკურსის – „გწერ თავისუფალ თემას“ – გამარჯვებულები:

- 1. თამთა რეხვიაშვილი**, თბილისი, 47-ე სკოლა, მე-11 კლასი, მასწავლებელი – **ქეთევან ხურცილავა**, თემა – „სამყარო ღიმილში“, პრიზი – 200-ლარიანი სტიპენდია ერთი წლის განმავლობაში გამომცემლობა „ტრიასისაგან“;
- 2. გვანცა კალანდაძე**, ჩოხატაური, ხიდისთავის სკოლა, მე-10 კლასი, მასწავლებელი – **დალი კალანდაძე**, თემა – „ლექსის სული“, პრიზი – 100-ლარიანი სტიპენდია ერთი წლის განმავლობაში სასწავლო ცენტრ „რუსული სახლისაგან“;
- 3. მარიამ კილაძე**, ხაშური, მე-3 სკოლა, მე-10 კლასი, მასწავლებელი – **გიული მეტრეველი**; თემა – „წარმოგიდგენთ საქართველოს“, პრიზი – მობილური ელექტრონული მთარგმნელი განათლების ლიდერთა ლიგისაგან;
- 4. ქეთევან ქუციაშვილი**, სოფელ დიდმის სონულაშვილის სახელობის სკოლა, მე-10 კლასი, მასწავლებელი – **ლილა ქიშოშვილი**; თემა – „ლექსის სული“, პრიზი – MP3 ფლეიერი „თრეველ-ტურისაგან“;
- 5. თამარ ნამგალაძე**, თბილისის 53-ე საჯარო სკოლა, მასწავლებელი – **მარინა რევიშვილი**, თემა – „მერვე დღე“, პრიზი – მსოფლიოს რჩეული მოთხრობების ექვსტომეული გამომცემლობა „დიასაგან“;
- 6. თამარ გამგებელი**, თბილისის 147-ე სკოლა, მე-11 კლასი, მასწავლებელი – **ქეთევან ბუხრაშვილი**, თემა – „იგავთა ვარიაციები“, პრიზი – ახალგაზრდა მხატვრების ალბომი „მე – მხატვარი“ გამომცემლობა „დიასაგან“;
- 7. ეკა მაღალაძე**, თბილისის 24-ე სკოლა, მე-12 კლასი, მასწავლებელი – **მაია მიქაძე**, თემა – „მერვე დღე“, პრიზი – ელექტრონული წიგნების ნაკრები და ვახუშტი კოტეტიშვილის ბოლო ჩანაწერები, პირველი ელექტრონული გამომცემლობისაგან;



8. გიორგი გოგუა, დაბა ჩხორწყის №1 სკოლა, მასწავლებელი – **მანანა კაჭარავა**, თემა – „მერვე დღე“, პრიზი – ქართული პროზისა და ქართული პოეზიის ანთოლოგიები პირველი ელექტრონული გამომცემლობისაგან;

9. ნინო რეხვიაშვილი, თბილისის სკოლა-ლიცეუმი „რიტორი“, მე-11 კლასი, მასწავლებელი – **თეა დავედაძე**, თემა – „მერვე დღე“, პრიზი – გამომცემლობა „ინტელექტისგან“;

10. ნიკა არევაძე, გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების სკოლა, მე-11 კლასი, მასწავლებელი – **ქეთევან ლიქოქელი**, თემა – „მერვე დღე“, პრიზი – გამომცემლობა „ინტელექტისგან“.

სპეციალურ კრებულში, პირველი ათი გამარჯვებულის გარდა, დაიბეჭდება 7 მოსწავლის თხზულება. ესენია: **გურამ ბარათაშვილი**, თბილისის 42-ე სკოლა, მე-12 კლასი; **სალომე თოთლაძე**, თბილისის მე-13 სკოლა, მე-11 კლასი; **ბექა არიშიძე**, თბილისის №1 სკოლა, მე-11 კლასი; **ლიკა ოქრობირიძე**, გორის მე-8 სკოლა, მე-11 კლასი; **მარიამ ღრეული**, საგარეჯოს პირველი სკოლა, მე-10 კლასი; **ხატია რეხვიაშვილი**, თბილისის 182-ე სკოლა, მე-12 კლასი; **თამარ მამადაშვილი**, თბილისის 129-ე სკოლა, მე-11 კლასი, მათაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან გადაეცათ ლეპტოპები.

გვანცა კალანდაძე: „ძალიან გახარებული და აღელვებული ვარ. წარმატებას ველოდი, მაგრამ მეორე ადგილს ნამდვილად არა, იმიტომ, რომ კონკურსში ძალიან ჭკვიანი ბავშვები მონაწილეობდნენ. დი-

დი სტიმული მომეცა. იმედა, ეს გამარჯვება საწინდარი იქნება იმ წარმატებებისა, რომლებიც მინდა, რომ ცხოვრებაში მქონდეს.“

ქეთი ქუციაშვილი: „ამგვარ კონკურსში მონაწილეობა პირველად მივიღე და ძალიან კმაყოფილი ვარ შედეგით. განწყობა კარგი მაქვს, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო კონკურსის ორგანიზატორებს ასეთი ღამეზე ცერემონიისთვის.“

მარიამ ღრეული: „ჩემი თხზულება კრებულში დაიბეჭდება, ძალიან გახარებული ვარ. სულ ვიღებ მონაწილეობას ამგვარ კონკურსებში. კარგია, რომ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება გვეძლევა.“

გიორგი გოგუა: „საერთოდ ნაკლებად ვმონაწილეობ კონკურსებში, თავისუფალი თემის კონკურსში კი პირველად მივიღე მონაწილეობა. ჩემი თავის იმედი რომ არ მქონოდა, აქ ნამდვილად არ ჩამოვიდოდი. გახარებული ვარ, რომ მოლოდინი გამართლდა და შრომა წყალში არ ჩაშრულა. ეს საკმაოდ დიდი სტიმულია ჩემთვის, რომ გაცილებით მეტ წარმატებას მივაღწიო ცხოვრებაში.“

ლონისძეების ბოლოს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ნიკა გვარამიამ გამარჯვებულ მოსწავლეებს ლეპტოპები გადასცა.

სულ მალე, ფართო საზოგადოება გამარჯვებული 17 მოსწავლის ნამუშევრების კრებულს გაეცნობა, რომელიც გამომცემლობა „ტრიასის“ მხარდაჭერით გამოიცემს.

თამუნა ჭანტურია



სკოლა-ლიცეუმი „მნივნობარტუხუცესი“

თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო კერძო სკოლა-ლიცეუმი „მნივნობარტუხუცესი“ დაარსდა 1994 წელს. 2008 წელს სკოლა გადავიდა საკუთარ ახალ შენობაში.

სკოლის მისიაა: მოსწავლეებს საფუძვლიანად შეასწავლოს სტანდარტით გათვალისწინებული ყველა საგანი; გააძლიეროს ქართულის, უცხო ენების (ინგლისური, რუსული) და მათემატიკის სწავლება; მოამზადოს მოსწავლეები ეროვნული გამოცდებისათვის; სურვილის შემთხვევაში შეუქმნას მოსწავლეებს პირობები, რათა ისინი მოემზადონ ევროპულ და ამერიკულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად; მოსწავლეებს სულიერი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდისათვის შემოიღოს ხელოვნების, მეტყველების, ქართული ცეკვის, ევროპული და ლათინურ-ამერიკული ცეკვების, კინოხელოვნების, ჭადრაკის, ფეხბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთისა და ცურვის სწავლება. სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას, სამართლიანი და თბილი ურთიერთდამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

მოსწავლეები სწავლობენ უახლესი ტექნიკით აღჭურვილ საკლასო ოთახებსა და კაბინეტ-ლაბორატორიებში. თითოეულ კლასში მოსწავლეთა მცირერიცხოვან ჯგუფებთან სწავლება წარმართება ტრადიციული და ინტერაქტიული მეთოდებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა ინდივიდუალური სწავლებისაკენ სწრაფვას.

თანაბარი ყურადღება ეთმობა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნის სწავლებას.

სკოლის ღირსებას წარმოადგენენ მაღალკვალიფიციური, ჩვენი სკოლის სპეციფიკის მცოდნე პედაგოგები.
მოსწავლეთა მიერ მიღებული ცოდნის შეფასებისათვის დანერგულია მიმდინარე და შემავალი (ყოველკვირული) კონტროლი. ასევე დანერგულია მოსწავლეთა მიერ, თითქმის, ყველა საგანში აქტუალური საკითხების პრეზენტაციები, საკონფერენციო დებატები მოსწავლეთა, პედაგოგთა და მშობელთა მონაწილეობით.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საინფორმაციო ტექნოლოგიების – ინფორმატიკის სწავლებას, რისთვისაც გამოყოფილია სათანადოდ აღჭურვილი კომპიუტერული კაბინეტები, ინტერნეტი.

სკოლას აქვს თანამედროვე აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სადაც მოსწავლეები აითვისებენ სამეცნიერო, სასწავლო და მხატვრული ლიტერატურის მასალების მოძიებისა და გამოყენების უნარ-ჩვევებს.

მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგულია დაცვის სამსახური, რომლის მუშაობითაც სკოლაში კატეგორიულად გამორიცხულია უცხო პირის შესვლა და სკოლის ტერიტორიიდან მოსწავლეთა თვითნებური გასვლა.

მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური დახმარებისათვის სკოლაში შექმნილია სამედიცინო და ფსიქოლოგიური სამსახურები, სათანადოდ აღჭურვილი კაბინეტებით.

სკოლას ემსახურება კეთილმოწყობილი სასადილო (უფასო) და კაფეტერია (ფასიანი).

მოსწავლეთა ფიზიკური განვითარების სრულყოფისათვის მოწოდებულია საცურაო აუზი, დახურული და ღია სპორტული მოედნები.

სკოლა ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებს ექვსი სხვადასხვა ქვეყნის ევროპული და ამერიკული სტანდარტებით მომუშავე სკოლებთან, გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამების ასამოქმედებლად.

სკოლაში არსებობს სწავლების ოთხი საფეხური:

- სკოლამდელი აღზრდის საფეხური;
- დაწყებითი განათლების საფეხური;
- საბაზო განათლების საფეხური;
- საშუალო განათლების საფეხური.

სკოლამდელი აღზრდა

სკოლაში უწყვეტი განათლების დასაწერად იმუშავებს 4-5-წლიანი ბავშვებისათვის მოსამზადებელი ჯგუფები, რომლებიც დაიტვირთება საბავშვო ბაღის ნორმების გათვალისწინებით.

- სკოლამდელი აღზრდის ჯგუფებისათვის დღის ხანგრძლივობა იქნება 9.00-17.00-სთ-მდე;
- აღსაზრდელებს ექნებათ სამჯერადი კვება;
- თავისუფალი დრო – თამაშები, დასვენება დღის განმავლობაში სამჯერ – თითო საათის ხანგრძლივობით;
- ინტელექტუალურ-შემეცნებითი თამაშები – ქართული, ინგლისური, რუსული, მათემატიკა, ბუნება;
- ესთეტიკური აღზრდა – ხელოვნება, ხატვა, ძეგნვა, მუსიკა, ქართული ცეკვა;



■ სპორტული აღზრდა – გამაჯანსაღებელი ვარჯიშები, ცურვა.

მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში

მოსამზადებელ ჯგუფებში აღსაზრდელთა რაოდენობა განისაზღვრება 20 ბავშვით.

I-VIII კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება 20 მოსწავლით.

IX კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება 10 მოსწავლით.

X-XII კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება 6 მოსწავლით.

სასწავლო პროცესის მართვა

პედაგოგი – დამოუკიდებელი და თავისუფალი საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში გაკვეთილების დაგეგმვასა და სწავლების მეთოდებაში. პროგრამულ, მეთოდოლოგიურ და სახელმძღვანელოს არჩევის საკითხებს ათანხმებს კათედრის გამგესთან.

პედაგოგის მატერიალური დაინტერესების მიზნით, IV-XII კლასის პედაგოგთა ხელფასის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ცოდნის კონტროლის შეფასებებში მიღებული მაღალი აკადემიური დონე, ხელფასზე დანაშაულის სახით, ტრიმესტრიდან ტრიმესტრამდე.

I-III კლასებში დამრიგებლობას ახორციელებენ დაწყებითი საფეხურის პედაგოგები.

ცოდნის კონტროლი

1. საგნის მასწავლებლის ყოველდღიური შეფასება სხვადასხვა კომპონენტების მიხედვით;
2. ცოდნის ყოველკვირული შეფასება, რომელსაც აწარმოებს სკოლის დირექცია (სპეციალურად შექმნილი მონიტორინგის ჩამტარებელი ჯგუფი).

სკოლაში მიღების წესი

სკოლაში მოსამზადებელ ჯგუფში მიიღებიან 5 წლის ბავშვები. მოსამზადებელი განყოფილებიდან I კლასში ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების გავლის შემდეგ. I-XII კლასებში მოსწავლეები მიიღებიან მხოლოდ გამოწვევის შემთხვევაში, თუ წარმატებით გაივლიან შესაბამისი კლასის საგნობრივ ტესტირებას.



ფინანსური ურთიერთობა გზონკებთან ან მათთან ბათონაზრებულ პირებთან და გადახდის ბრაზიკი

სკოლაში ჩარიცხვის შემდეგ მშობლები იხდიან პირველი თვის შესატანს, რათა მათ შეიქმნას გარანტირებული ჰქონდეს ადგილი კლასში. შემდგომ თვეებში, მთლიანად, წელიწადში 10 თვის განმავლობაში, გადასახადის შეტანა ხდება ყოველთვიურად თვის პირველიდან ხუთ რიცხვამდე. წლიურ შესატან თანხას გამოაკლდება სახელმწიფო ბიუჯეტის ვაუჩერული დაფინანსების ოდენობა, ანგარიშსწორება მოხდება სასწავლო წლის X-IX თვეებში.

სკოლაში ჩარიცხულ მოსწავლეთათვის გადასახადი თანხა შეიცვლება წელიწადში ერთხელ, მხოლოდ ინფლაციური პროცესების გათვალისწინებით. სხვა მხრივ, თორმეტი წლის მანძილზე, გადასახადი თანხა უცვლელი დარჩება. მშობელს აქვს უფლება, წინასწარ, ერთდროულად შეიტანოს მთელი წლის გადასახადი თანხა.

ყოველი სასწავლო წლის ახალი ნაკადისათვის სწავლის საფასური შეიძლება შეიცვალოს.

სკოლაში დაწესებულია ფინანსური შეღავათები:

- მშობელს, რომელსაც სკოლაში ჰყავს სამი და მეტი შვილი, ყველა ბავშვისათვის დაწესდება შეღავათი 20%-ის ოდენობით;
- სკოლის ყველა თანამშრომლის შვილებსა და შვილიშვილებზე ვრცელდება 20%-იანი შეღავათი. მათთვის მოგების გადასახადს ფარავნად დამფუძნებლები საკუთარი მოგებიდან.

ფინანსური სტიმულირება მოსწავლეთათვის

ფინანსური სტიმულირება დაწესდება სწავლების X კლასიდან იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც ე.წ. სარეიტინგო კრიტერიუმებით დააგვირგებენ 100 ქულას. ასეთ მოსწავლეებს დაენიშნებათ სტიპენდია თვეში 30 ლარის ოდენობით.

სწავლის დღე სკოლაში

8.30-9.00 სთ. – მოსწავლეების ტრანსპორტირება შინიდან სკოლაში.

9.00-11.25 სთ. – საგაკვეთილო მუშაობა (45-წუთიანი გაკვეთილები და 5-წუთიანი შესვენებები).

11.25-11.35 სთ. – I-VI კლასებს დაურიგდებათ ხემსი.

VII-IX კლასის მოსწავლეებს ექნებათ, შესაძლებლობა, სურვილის შემთხვევაში მიიღონ ფასიანი საკვები სკოლის კაფეტერიაში.

11.25-11.35 – X-XII კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ მიიღონ ფასიანი საკვები სკოლის კაფეტერიაში.

11.35-14.00 – საგაკვეთილო მუშაობა.

14.00-14.30 – I-III კლასები – სადილი.

14.10-15.00 – VII-XII კლასების მოსწავლეთა ტრანსპორტირება სკოლიდან შინ.

14.45-15.00 – IV-VI კლასები – სადილი.

15.00-17.00 – I-VI კლასები – საშინაო დავლების ნაწილის შესრულება.

17.00-17.30 – I-VI კლასის მოსწავლეთა ტრანსპორტირება სკოლიდან შინ.

წიგნების წარის სისტემა

შეფასების სისტემა ათქულიანია. „10“ უმაღლესი ნიშანია, „1“ კი – ყველაზე დაბალი.

I-III კლასებში წლიური, შეფასება ნიშნებით არ ხდება. ამ კლასებში, ტრიმესტრისა და წლის ბოლოს, კლასის დამრიგებელმა თითოეულ მოსწავლეს უნდა დაუწეროს მოკლე შემაჯამებელი კომენტარი ტექსტის სახით, სადაც დაახასიათებს მოსწავლის წარმატებებს და – მისცემს რჩევებს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოყენებისათვის.

IV-XII კლასებში მოსწავლის შეფასება ხდება ათქულიანი სისტემით.

ესთეტიკურ, შრომით და ფიზიკურ აღზრდაში – სპორტში მოსწავლე ფასდება სისტემით: „ჩაეთვალა“, „არ ჩაეთვალა“. ოფიციალური სტატუსი აქვს შემდეგ ნიშნებს:

■ საგნის ტრიმესტრული ნიშანი – საგანში პედაგოგის მიერ დანერგილი ყოველდღიური შეფასებების საშუალო არითმეტიკული (50%) პლუს ცოდნის კონტროლით მიღებული ყოველკვირული შეფასების საშუალო არითმეტიკული (25%).

■ საგნის წლიური ნიშანი – ტრიმესტრული ნიშნების საშუალო არითმეტიკული.

■ საერთო წლიური ნიშანი – ვიღებთ ყველა საგნის სამივე ტრიმესტრისა და წლის საბოლოო ნიშნებს, ვაჯამებთ და ვყოფთ ნიშნების საერთო რაოდენობაზე.

■ საფეხურის საერთო ნიშანი – ვაჯამებთ საერთო წლიურ ნიშნებს და ვყოფთ წლების რაოდენობაზე.

სკოლა-ლიცეუმში დამატებით დანერგება IV კლასიდან შეფასების ახალი ტიპი – შიდასასკოლო სარეიტინგო შეფასება სპეციალურად შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით:

სარეიტინგო კრიტერიუმები

(მეოთხე კლასიდან)

მიმდინარე აპაღმიური მოსწავლე	1-20 ქ.
მიმდინარე მონიტორინგის	
შედეგები	1-20 ქ.
ტრიმესტრული მონიტორინგის	
შედეგები	1-20 ქ.
მეცადინეობაზე დასწრება	1-10 ქ.

ყოფაცდევია:	
საგნის პედაგოგის შეფასება	1-10 ქ.
ამხანაგების შეფასება	1-10 ქ.
დამრიგებლის შეფასება	1-10 ქ.
სულ: 100ქ.	

91-100 = 10 ქულა	
81-90 = 9 ქულა	წარჩინებული სწავლა
71-80 = 8 ქულა	

61-70 = 7 ქულა	
51-60 = 6 ქულა	კარგი სწავლა

41-50 = 5 ქულა	მიცემა წინადადება
31-40 = 4 ქულა	წავიდა სკოლიდან

21-30 = 3 ქულა	
11-20 = 2 ქულა	ბარიცხვა
1-10 = 1 ქულა	

100-ქულიან მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია, 30 ლარის ოდენობით, X კლასიდან

თვალსაზრისი

ზოგადი განათლება - სკოლა, დაფინანსება და პრობლემები

საქართველოში ზოგადი განათლების ვაუჩერულ დაფინანსებაზე გადასვლა და სკოლების დეცენტრალიზაცია მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია სკოლის ინსტიტუციური განვითარების, საზოგადოებაში მისი ადგილისა და როლის დაკავების საქმეში. ყველაზე დიდი პრობლემა, რაც აღნიშნულ ცვლილებებს მოჰყვა, არასაკმარისი ფინანსები იყო, რომელიც, ერთი შეხედვით, ვაუჩერულმა დაფინანსებამ გამოიწვია. უფრო სწორად, მან გამოიწვია დიდი კონტინგენტის მქონე სკოლების გაზარდაცვალება და მცირე კონტინგენტისა და გააქტიურება. სკოლების ვაუჩერული დაფინანსების სისტემა არასწორია, რადგან კრიტერიუმში არის მხოლოდ მოსწავლე, მიუხედავად კლასისა. დაწყებითი კლასების შენახვა უფრო ნაკლებხარჯიანია, რადგან მასწავლებელი უფრო დაბალანაზღაურებადი და საგაკვეთილო დატვირთვა ნაკლებია, ვიდრე საბაზო ან საშუალო კლასების, ამიტომ აქცენტი არსებითად გადატანილია დაბალ კლასებში სწავლების ხარისხზე. ამასთანავე ადგილი აქვს თანმდევ ეფექტებსაც, როგორცაა მოსწავლეთა რაოდენობის შენარჩუნებაზე ზრუნვა, რომელსაც სწავლების ხარისხის გაუარესებისაკენ მივყავართ.

მგონი, რაც აქამდე ვისაუბრე, უცხო არ არის არავისთვის, ვისაც ბოლო სამი-ოთხი წელია განათლების სისტემაში ჩაუხედვს, მაგრამ, ალბათ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ამის საფუძველს ავხსნით და შესაბამისად მისი გამოსწორების გზებს შემოგთავაზებთ.

თანამედროვე აღრიცხვის (ბუღალტერიის) ნაწილის - მმართველობითი აღრიცხვის მეცნიერები დიდი ხანია მუშაობენ მსგავს საკითხებზე, თავად მეცნიერებამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ბოლო 30 წლის განმავლობაში. მმართველობითი აღრიცხვის ინსტიტუტის განმარტებით, მმართველობითი აღრიცხვა ეს არის ღირებულების ზრდის მუდმივი გაუმჯობესების პროცესის დაგეგმვა, შემუშავება, გაზომვა და ოპერირება და განხორციელება როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ სისტემებში, რომელიც საფუძვლად უდევს მენეჯმენტის მოქმედებას, ახდენს ქვეყნის მოტივირებას, ხელს უწყობს კულტურული ღირებულებების შექმნას, ოპერელიც აუცილებელია ორგანიზაციის სტრატეგიული, ტაქტიკური და ოპერატიული მიზნების მისაღწევად. მმართველობითი აღრიცხვის შესახებ ასევე ამბობენ, რომ იგი მიზანმიმართული და ყოვლისმომცველია. სწორედ ამ მეცნიერების ხედვლიდან მიიღო გავცე პასუხი ზემოთ ნაშთილ პრობლემას.

დავინყობ იმის ახსნა, თუ რატომ გამოიწვია ასეთი შედეგები ვაუჩერით დაფინანსებაზე? დაფინანსების სისტემაში აქცენტი გადატანილია მხოლოდ ერთ ხარვეზებზე და, შესაბამისად, კონტროლი და გადახდა ხორციელდება მხოლოდ მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით. სქემა მარტივია, სკოლებს ვუთვლით მოსწავლეებს, ხოლო შემდეგ მათ რაოდენობას ვამრავლებთ ვაუჩერის თანხაზე. სკოლისთვისაც მარტივია, საშუალო შემოსავალი ცნობილი და ამის საფუძველზე სკოლა ადგენს ბიუჯეტის მხოლოდ ხარჯვით ნაწილს.

ახლა მოვიყვანოთ მაგალითი, რა მოხდებოდა, თუ სახელმწიფო მცხოვრებელს შეუკვეთავდა 100 ცალი პურის გამოცხობას? შემსრულებელი, ალბათ, გამოაცხობდა რაც შეიძლება მცირე ზომის პურს და მის მასას არ მიაქცევდა ყურადღებას, მაგალითად, სამასგრამიან 100 ცალ პურს, რადგან შესრულების მაჩვენებელი არის მხოლოდ რაოდენობა. სახელმწიფო თუ შეუკვეთავდა 100კგ პურს, მაშინ მცხოვრებელი ყურადღებას გაამახვილებდა კილოგრამებზე და შეიძლება 1-კილონიანი პურიც გამოეცხო. ასეთი შემთხვევები ხშირად ხდებოდა საბჭოთა სისტემის დროს. როცა მიიღებდნენ დაკვეთას, გზა გაეყვანათ თბილისიდან გორამდე, აუცილებლად, გზა ვინრო იქნებოდა, ისე, რომ მინიმალური მოთხოვნა - ორი მანქანის გვერდის ავლა დაეკმაყოფილებინა, მაგრამ 100კგმ ასფალტის საფარაიანი გზის დაგების ბრძანება რომ მიეღოთ, ალბათ, აქცენტს სიგრძეზე არავინ გააკეთებდა და უფრო სიგანეზე იზრუნებდა.

ეს საკითხი ჩვეულებრივი ადამიანური ბუნების, ხასიათის გამოძახილია და შენეჯერმა ან/და დამკვეთმა, ჩვენ შემთხვევაში სამინისტრომ, ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს მისთვის საკითხები.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაფინანსების ერთმარჯვენებლიანმა სისტემამ გამოიწვია მოსწავლის დაკარგვის შიში, რომელიც თან ნაჰყვება თავისი ვაუჩერი და ფინანსები. შიშმა კი - რომ „ოღონდ მოსწავლე იურიდიულად სკოლაში ირიცხებოდეს და თუნდაც საერთოდ არ იაროს“, გამოიწვია, უფრო მეტად საშუალო საფეხურის კლასებში, საგაკვეთილო პროცესის არარსებობა, რასაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს არაკვალიფიციური სასკოლო გაერთიანება, რამაც საშიშროება შეუქმნა ასე ვარგად მიმდინარე განათლების განმტკიცების და გარდაქმნის პროექტს, რომელიც საქართველოს განათლების ინსტიტუციონალური რეფორმის მონაპოვარია.

ვამბობთ, რომ დაფინანსების ეს სისტემა საკმაოდ რთული პროცესია და არ არის სრულყოფილი, მაშინ რას გვთავაზობთ? - დაფინანსების მრავალმარჯვენებლიანი სისტემის გამოყენებას, რომლის მიხედვითაც გაანგარიშებული იქნება თითოეული სკოლის დაფინანსება. განვიხილოთ მაგალითი: იგნორირება გავუკეთოთ საინვესტიციო (გათბობის დამონტაჟების, მშენებლობის და ა.შ.) ხარჯებს.

ჩემ მიერ შემოთავაზებული გეგმის მიხედვით, არსებობს შემდეგნაირი მიდგომა - სკოლა ფინანსდება მოსწავლის, კლასის, საფეხურის, პროგრამის და ფართის მიხედვით, ანუ გვაქვს ხუთმარჯვენებლიანი დაფინანსების და კონტროლის სისტემა. მონაცემები გამოთვლილია საქართველოს მეცნიერებისა და განათლების ვებგვერდზე არსებული კვლევის მონაცემებიდან, სადაც განხილულია საჩხერის №2 საჯარო სკოლის შედარებით ანალიზი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან. ქვემოთ განვიხილავთ დაფინანსებას რამდენიმე სკოლისთვის, მაგრამ მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ საქართველოში მოსწავლეზე დაფინანსების ნორმატივები: ქალაქი 400-მდე მოსწავლე - 345 ლარი მოსწავლეზე, 400-ზე მეტი მოსწავლე - 325 ლარი მოსწავლეზე; სოფელი/დაბა 200-მდე მოსწავლე 475 ლარი მოსწავლეზე, 200-ზე მეტი - 450 ლარი მოსწავლეზე; მალაღმთიანი სოფელი ნებისმიერი რაოდენობის მოსწავლეზე 565 ლარი.

ახლა მოვამზადოთ რამდენიმე სიმულაცია, ზემოთ აღწერილი კრიტერიუმების მიხედვით.

ა) სიმულაციაში განვიხილოთ საჩხერის №2 საჯარო სკოლა:

შემოსავლები	ერთეული მოსწავლე	რ-ბა	ლ-ბა	თანხა
კლასი	რ-ბა	11	1000	11000
საფეხური I	დაწყებითი	1	4000	4000
საფეხური II	საბაზო	1	6000	6000
საფეხური III	საშუალო	1	8000	8000
პროგრამა (მაქს. საფეხურზე 5)	რაოდენობა	6	4000	24000
ფართი	კვ.მ.	1963.5	30	58905
საჯარაუდო შემოსავალი არსებული განაკვეთით	მოსწავლე	561	325	182325

ახალი გეგმის მიხედვით, მოსწავლეზე შემოსავალი 339.08

ზემოთ მოცემული მონაცემების მიხედვით, საჩხერის მეორე საჯარო სკოლა, ნაცვლად 182325 ლარისა, მიიღებს 190225 ლარს.

თუ შენიშნეთ, სხვადასხვა თანხა მითითებული საფეხურების მიხედვით. საშუალო საფეხური მოითხოვს უფრო მეტ რესურსს, ვიდრე დაწყებითი ან საბაზო, რადგან მათ უფრო კვალიფიციური მასწავლებლები სჭირდებათ, რომელთაც ანაზღაურებაც მეტი უნდა ჰქონდეთ და ტექნიკური საშუალებებიც, სკოლის საათობრივი სიმძლავრეც მეტი სჭირდებათ.

ბ) ახლა განვიხილოთ თბილისის სკოლა, რომელსაც 700 მოსწავლე ჰყავს, მაგრამ 30 კლასი და 3 პროგრამას ახორციელებს

შემოსავლები	ერთეული მოსწავლე	რ-ბა	ლ-ბა	თანხა
კლასი	რ-ბა	20	1000	20000
საფეხური I	დაწყებითი	1	4000	4000
საფეხური II	საბაზო	1	6000	6000
საფეხური III	საშუალო	1	8000	8000
პროგრამა (მაქს. საფეხურზე 5)	რაოდენობა	3	4000	12000
ფართი	კვ.მ.	2100	30	63000
საჯარაუდო შემოსავალი არსებული განაკვეთით	მოსწავლე	700	325	227500

ახალი გეგმის მიხედვით, მოსწავლეზე შემოსავალი 281.43

თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩინოთ, რომ მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით ბევრად მცირე დაფინანსებას ღებულობს სკოლა, რადგან არ ახორციელებს პროგრამებს. კლასებში ჰყავს ბევრი მოსწავლე და, შესაბამისად, მისი ფინანსები მცირეა, ვიდრე არსებული.

გ) ახლა „ბ“ სიმულაციაში არსებული მონაცემები შევცვალოთ შემდეგნაირად - მოსწავლეთა რაოდენობა დავტოვოთ იგივე, კლასების რაოდენობა გავზარდოთ 25 მოსწავლეზე ერთი კლასი, ასევე პროგრამების რაოდენობა გავზარდოთ და ერთ საფეხურზე, საშუალოდ, გავაკეთოთ 4 პროგრამა, ანუ ჯამში 12.

შემოსავლები	ერთეული მოსწავლე	რ-ბა	ლ-ბა	თანხა
კლასი	რ-ბა	25	1000	25000
საფეხური I	დაწყებითი	1	4000	4000
საფეხური II	საბაზო	1	6000	6000
საფეხური III	საშუალო	1	8000	8000
პროგრამა (მაქს. საფეხურზე 5)	რაოდენობა	12	4000	48000
ფართი	კვ.მ.	2100	30	63000
საჯარაუდო შემოსავალი არსებული განაკვეთით	მოსწავლე	700	325	227500

ახალი გეგმის მიხედვით, მოსწავლეზე შემოსავალი 344.29

როგორც ხედავთ მოსწავლეთა რაოდენობა არ შეცვლილა, მაგრამ აშკარად გაიზარდა ერთ მოსწავლეზე საშუალო დაფინანსება.

დ) ახლა განვიხილოთ მალაღმთიანი სოფელი, რომელსაც, საჯარაუდოდ, 60 მოსწავლე ჰყავს და 3 პროგრამას ახორციელებს:

შემოსავლები	ერთეული მოსწავლე	რ-ბა	ლ-ბა	თანხა
კლასი	რ-ბა	11	1000	11000
საფეხური I	დაწყებითი	1	4000	4000
საფეხური II	საბაზო	1	6000	6000
საფეხური III	საშუალო	1	8000	8000
პროგრამა (მაქს. საფეხურზე 5)	რაოდენობა	3	4000	12000
ფართი	კვ.მ.	300	30	9000
საჯარაუდო შემოსავალი არსებული განაკვეთით	მოსწავლე	60	565	33900

ახალი გეგმის მიხედვით, მოსწავლეზე შემოსავალი 953.33

როგორც ხედავთ, შემოსავლები მოსწავლეზე 953 ლარზე ავიდა, მაგრამ, როგორც კი არც ერთ პროგრამას არ განახორციელებს, მისი ერთ მოსწავლეზე შემოსავალი შემდეგნაირი გახდება:

ე) მალაღმთიანი სოფელი - 60 მოსწავლეზე არც ერთი პროგრამით. როგორც ვხედავთ, ერთ მოსწავლეზე დაფინანსება შემცირდა 200 ლარით. ასევე, გაიზარდა დაფინანსება 200 ლარით, თუ ის 6 პროგრამას განახორციელებს:

შემოსავლები	ერთეული მოსწავლე	რ-ბა	ლ-ბა	თანხა
კლასი	რ-ბა	11	1000	11000
საფეხური I	დაწყებითი	1	4000	4000
საფეხური II	საბაზო	1	6000	6000
საფეხური III	საშუალო	1	8000	8000
პროგრამა (მაქს. საფეხურზე 5)	რაოდენობა	0	4000	0
ფართი	კვ.მ.	300	30	9000
საჯარაუდო შემოსავალი არსებული განაკვეთით	მოსწავლე	60	565	33900

ახალი გეგმის მიხედვით, მოსწავლეზე შემოსავალი 753.33

ვ) მალაღმთიანი სოფელი 60 მოსწავლეზე და 6 პროგრამით:

შემოსავლები	ერთეული მოსწავლე	რ-ბა	ლ-ბა	თანხა
კლასი	რ-ბა	11	1000	11000
საფეხური I	დაწყებითი	1	4000	4000
საფეხური II	საბაზო	1	6000	6000
საფეხური III	საშუალო	1	8000	8000
პროგრამა (მაქს. საფეხურზე 5)	რაოდენობა	6	4000	24000
ფართი	კვ.მ.	300	30	9000
საჯარაუდო შემოსავალი არსებული განაკვეთით	მოსწავლე	60	565	33900

ახალი გეგმის მიხედვით, მოსწავლეზე შემოსავალი 1153.33

ზ) სოფელი/დაბა 150 მოსწავლეზე, 1 პროგრამით:

შემოსავლები	ერთეული მოსწავლე	რ-ბა	ლ-ბა	თანხა
კლასი	რ-ბა	11	1000	11000
საფეხური I	დაწყებითი	1	4000	4000
საფეხური II	საბაზო	1	6000	6000
საფეხური III	საშუალო	1	8000	8000
პროგრამა (მაქს. საფეხურზე 5)	რაოდენობა	1	4000	4000
ფართი	კვ.მ.	600	30	18000
საჯარაუდო შემოსავალი არსებული განაკვეთით	მოსწავლე	150	475	71250

ახალი გეგმის მიხედვით, მოსწავლეზე შემოსავალი 460.00

თ) სოფელი/დაბა 150 მოსწავლეზე, 4 პროგრამით:

შემოსავლები	ერთეული მოსწავლე	რ-ბა	ლ-ბა	თანხა
კლასი	რ-ბა	11	1000	11000
საფეხური I	დაწყებითი	1	4000	4000
საფეხური II	საბაზო	1	6000	6000
საფეხური III	საშუალო	1	8000	8000
პროგრამა (მაქს. საფეხურზე 5)	რაოდენობა	4	4000	16000
ფართი	კვ.მ.	600	30	18000
საჯარაუდო შემოსავალი არსებული განაკვეთით	მოსწავლე	150	475	71250

ახალი გეგმის მიხედვით, მოსწავლეზე შემოსავალი 540.00

როგორც ხედავთ, შემოსავალი გაიზარდა ერთ მოსწავლეზე პროგრამის გაზრდის კვალდაკვალ.

რა თქმა უნდა, ისმის კითხვა, რას უზრუნველყოფს ეს გეგმა? მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ამ გეგმას უნდა დაუერთოთ შესაბამისი შეზღუდვები, მაგალითად, არ შეიძლება, სკოლამ ერთ საფეხურზე 5 პროგრამაზე მეტი განახორციელოს, რადგან სკოლა შეეცდება, ყველანაირი პროგრამა განახორციელოს, რაც ხელს შეუწყობს არაეფექტიანი პროგრამების შექმნას. რადგან არსებობს შეზღუდვები, სკოლა პრიორიტეტის მიხედვით აირჩევს შესაბამის პროგრამებს, მაგალითად, ეკონომიკურ, მათემატიკურ და ა.შ.

ალბათ, დავგუბდებით კითხვა, საჭიროა თუ არა, დაწესდეს შეზღუდვა დანარჩენ კრიტერიუმებზე, მაგალითად, კლასების რაოდენობაზე? რა თქმა უნდა, არა, რადგან, თუ დირექტორი გაყოფს 25-ბაგევიან კლასს, დამატებით მხოლოდ 1000 ლარს მიიღებს, ხოლო მასზე დანახარჯი, დაწყებითი კლასის შემთხვევაში, 2000 ლარს აჭარბებს, ანუ არ არის მომგებიანი. თავად მოსწავლეთა რაოდენობამ და კლასმა უნდა შექმნას მისი კლასის შენახვის ხარჯები.

ასეთი ბიუჯეტური მეთოდის შემოღებით სკოლები მხოლოდ მოსწავლეთა რაოდენობაზე ორიენტირებული არ იქნებიან, რადგან დაფინანსების სტრუქტურა მრავალკომპონენტისაა, მოიცავს პროგრამების და კლასების რაოდენობას, სკოლის ფართს და სასკოლო საფეხურს.

ზემოთ აღწერილი მეთოდი ძალიან ეფექტიანია როგორც სახელმწიფო, ასევე კომერციულ სტრუქტურებში და შექმნილია კაპლანის, ნორტონის და ატკონსონის (მმართველობითი აღრიცხვის მეცნიერების უმნიშვნელოვანესი მიდგომების და მეთოდების შემქმნელები) მეთოდების საფუძველზე.

ამ მონაცემების ანალიზის შემდგომი საფეხური არის კონტროლი და მონიტორინგი, რის საფუძველზეც გამოიკვეთება ტარდობები, რომლის ანალიზი შესაძლებელია გახდეს ბიუჯეტური მეთოდების უფრო მეტად დახვეწას.

პაპ გუგუშვიძე
დოქტორანტი

სააღდგომო სარეკრები აფხაზეთიდან დევნილ მოსწავლეებსა და პედაგოგებს



მალხაზ აკიშბაია და ალექსანდრე აპლაკოვი



აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობა

„დღეს აღდგომის ნათელი აღგვავსებს და განგვანათლებს ყოველთა. აღდგომის მადლი გვიყუჩებს სულიერ თუ ხორციელ ტკივილებს.“

აფხაზეთიდან დევნილმა მოსახლეობამ უმძიმესი წლები გამოიარა. დღემდე მოუშუშებელია მათი ჭრილობები. ხალხის თვალწინ დაიღუპა უამრავი ახალგაზრდა, საკუთარ სახლ-კარს მოწყდა და დღემდე ლტოლვილობაშია მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ის გახლავთ, რომ აფხაზეთის მინა-წყალზე, განადგურების პირას მივიყვანეთ ღვთისაგან ბოძებული უმთავრესი საუნჯე — სიყვარული. შეიძლება ვინმე არ დაგვეთანხმოს და გვითხრას: — სიყვარული არ დაგვიკარგავს, გვიყვარს ჩვენი ოჯახის წევრები, ნათესავები და მეგობრები. ის მაინც ხომ შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ყველაფერი, რაც აფხაზეთში მოხდა ამა თუ იმ ადამიანთა ჯგუფის დანაშაული კი არ არის, არამედ ყოველი ჩვენგანის უძღურების, უსიყვარულობისა და ღმერთთან დაცილების შედეგია.

სიყვარული არ იქნება იქ, სადაც ადამიანები საკუთარ თავში ხედავენ სიკეთეს, ხოლო მოყვასში ბოროტებას.

ნუ შევეცდებით ჩვენს ცხოვრებაში არსებული ტრაგიკული მოვლენების მიზეზი მხოლოდ სხვა ადამიანებში დავინახოთ, ხოლო საკუ-

თარი თავი სრულიად უდანაშაულოდ და უშეცდომოდ წარმოვიდგინოთ. ყველანი ღვთის შვილები ვართ, ყოველ ჩვენგანში არის კარგიც და ცუდიც. ჩვენ, აფხაზეთის მინა-წყლის, „ერთი მინის“ შვილებმა, ბევრი ტკივილი მივაყენეთ ერთმანეთს. სამწუხაროდ, როგორც ქართველთა, ისე აფხაზთა მხრიდან ჩადენილი იყო ქრისტიანისათვის შეუფერებელი არაერთი საქციელი. მაგრამ ამ უმძიმეს დღეებში გამოვლინდა ისიც, რომ როგორც ქართველთა, ისე აფხაზთა შორის არიან მაღალი სულიერებისა და ზნეობის მქონე ადამიანები. საომარი მოქმედებების დროს, როდესაც ადამიანებს აშკარა სიკვდილი ემუქრებოდა, მრავალ აფხაზს გადაურჩენია ქართველი და პირიქით, მრავალ ქართველს გადაურჩენია აფხაზი.

ერთხელ, პატიმართა სასუფეშებლად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II -მ სამღვდლოებსა და ეპისკოპოსებს სიკვდილმისჯილები. მათ შორის ერთ-ერთი აფხაზი იყო. მისმა უწმინდესობამ განსაკუთრებული ყურადღება და სიბოლო გამოიჩინა აფხაზი პატიმრის მიმართ. სიკვდილმისჯილებს არ ჰქონდათ უფლება, წერილი გაეგზავნათ ახლობლებისათვის. პატრიარქმა შესთავაზა აფხაზ პატიმარს წერილი მიეწერა დედისთვის და შემდგომ ეს ბარათი პატიმრის დედას გაუგზავნა. ამის შემდეგ

მისმა უწმინდესობამ თხოვნით მიმართა ხელისუფლებას სიკვდილმისჯილთა შეწყალების თაობაზე. ხელისუფლებამ გაითვალისწინა ეს თხოვნა და აფხაზი პატიმარი შეწყალებულ იქნა სხვებთან ერთად.

დროა, დავვიწყებოთ ის საზარელი დღეები, რაც აფხაზეთში ხდებოდა. უნდა გავისხენოთ და დავინახოთ დადებითი მოვლენები, ის პიროვნული ღირსებები, რომლებიც გვაერთიანებდა საუკუნეების მანძილზე და, მიუხედავად მრავალი სიმწარისა, საომარი მოქმედებების დროსაც არ დაგვიკარგავს და დღესაც ცოცხალია ჩვენში.

დადგება დრო, როდესაც ძმურად შევხვებით, შევუწოდობთ და გადავხვებით ერთმანეთს. გავაცნობიერებთ, რომ აფხაზეთის მინა-წყალზე მომხდარი ტრაგედია იყო არა ქართველთა და აფხაზთა, არამედ ღვთის წინააღმდეგო ბოროტი სულის ბრძოლა აფხაზთა და ქართველთა შორის მშვიდობის, ერთობისა და სიყვარულის წინააღმდეგ.

მოვა დრო და ჩვენ როგორც თბილისში, ისე სოხუმში, გალში, გავრში და აფხაზეთის სხვა ქალაქებში აღვმართავთ ომში დაღუპულთა მოსაგონებელ ძეგლებს, სადაც ერთად ჩავწერთ როგორც ქართველთა, ისე აფხაზთა სახელებსა და გვარებს. ეს იქნება სიმბოლო ერთმანეთის ტკივილის გაზიარების, ერთმანეთისათვის შენდობის

და შერიგების, ჩვენი ერთობის აღდგენის. დაბრუნდება ერთმანეთისადმი ძმური სიყვარული და აღარ დავიწყებთ დავას იმის შესახებ, ვინ იყო მართალი და ვინ — მტყუანი.

აფხაზეთის საქართველოსთან გამოთლიანება აფხაზეთის წინსვლის, განვითარებისა და აფხაზების გადარჩენისა ღვთის მიერ დადგენილი ერთადერთი გზაა.

მოგეხსენებათ, რომ ამჟამად აფხაზეთის სკოლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონშია განთავსებული. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით, 21 აპრილს, აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებსა და პედაგოგებს სააღდგომო საჩუქრები — ტრადიციული ქართული პასკა და ტკბილეული გადაეცათ. სენაკში, ფოთში, ზუგდიდსა და თბილისში აღდგომის ბრწინვალე დღესასწაულისადმი მიძღვნილი საჩუქრები ყველა სკოლას პირადად ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებმა დაურიგეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, პატრიონი მალხაზ (კახა) აკიშბაია; აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი, პატრიონი ალექსანდრე აპლაკოვი; მისი მრჩეველი, პატრიონი რამინ საჯაია, აფხა-

ზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, პატრიონი ელგუჯა (გია) გვაზავა; მინისტრი რეგიონული მართვის საკითხებში, პატრიონი ბადრი ბულისკერია; ფინანსთა მინისტრი, პატრიონი ვახტანგ ჯგუბურია; აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში) ხელმძღვანელი, პატრიონი პაატა შამუგია; მისი მოადგილეები, პატრიონები — თორნიკე კილანავა და რუსლან ბენია; პატრიონი კობა აფხაზავა და სხვ.

ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია და აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობა დევნილ მოსწავლეებსა და პედაგოგებს ბოძებულ 3-დღიან ექსკურსიაზე წაყვანასაც დაჰპირდა. ისინი ძალიან გაახარა მათ მიერ გამოჩენილმა ჩვეულებამ ყურადღებამ და საჩუქრებმა, რისთვისაც დიდ მადლობას უხდებიან.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის, პატრიონი ალექსანდრე აპლაკოვის მოღვაწეობა და პატრიოტული საქმიანობა. ამ კეთილი, ენერგიული და ყურადღებიანი ადამიანისაგან პედაგოგები და დევნილი მოსწავლეები მუდმივად გრძნობენ სიბოლოს, მზრუნველობასა და მხარდაჭერას. მისი შრომა და ამავი, რა თქმა უნდა, დასაფასებელია და მადლობის თქმის ღირსია.

ასამათ შამუგია



საჩუქრებით გახარებული მოსწავლეები



ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიისა და აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის წარმომადგენლები

სიზმარი თუ რეალობა

პროექტი „ბრძოლა გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ“

მზე თითქმის ამოსულიყო აღმოსავლეთის მთებიდან, ბულბულმა რომ სტვენა დაიწყო. მის ხმაზე ჩიტებს, ყვავილებსა და მცენარეებს გამოეღვიძათ. ფრინველს ნაკადული აწყვეს, ჩიტებმაც დაიწყეს ჭიკჭიკი, ცაში გუნდი შეკრეს, ცეკვავენდნენ, მღეროდნენ, თამაშობდნენ... ცის მხიარულება მიწაზეც გადმოვიდა, სოკობმა გაიღვიძეს, ყვავილები წყვილ-წყვილად ამოდოდნენ ნიადაგიდან და ისე ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, გეგონებოდა, ერთმანეთს ეხუტებოდნენ. ამასობაში მზეც ამოვიდა. გვირილების გაშლილ მდელოზე ბიჭი და გოგო იყვნენ. ბიჭი წამოწოლილიყო და თვლებდა, გოგო კი გვირილის გვირგვინს წაწვდა...

STOP კადრი... „გაიღვიძე! თვალი გაახილე! რა დროს ოცნებებში ფრენა...“ ბიჭი საწოლიდან წამოხტა, მომენტალურად ცივმა ოფლმა დაასხა, ფანჯარაში გაიხედა და მიხვდა, რომ ცოტა ხნის წინ ლამაზი, მაგრამ არა-

რეალური სიზმარი ნახა. ოთახის კედელში ამოჭრილი პატარა ჩარჩოდან გარკვევით ჩანდა, თუ რა ხდებოდა გარეთ: ნაცრისფერი გამოწვრილებული დაფარული ქუჩა, დაბინძურებული ტროტუარები. გზის მეორე მხარეს ვიღაც ნაჯახით ხეს ჩეხდა. ბავშვმა ნაყინი იყიდა, ქალაქი კი ისედაც დანაგვიანებულ და ჭუჭყიან ქუჩაზე დააგდო. ეგრეთ წოდებულ „ბირჟაზე“ ყველა სიგარეტს ეწოდება და ნაშენებებს იქვე ყრიდა... სახლის ფანჯრიდან გარკვევით ჩანდა სკვერიც, სადაც ზოგი მზესუმზირას ჭამდა, ზოგი ბურბუშელას, ზოგიც ნაყინს შეექცეოდა. ურნები კი ცარიელი იყო, ნაგავი კვლავ ძირს იყრებოდა, ჩადიოდა ნიადაგში და მერე ღმერთმა იცის, იქ რა მოსდოდა... ბიჭს ამ საშინელი სურათის ყურება არ სურდა, ამიტომაც გადაწყვიტა ტელევიზორისთვის ყურებიონა დაჯდა საგარეო მუხის პულტს თითო დააჭირა. Discovery-ზე ეკოლოგიის შესახებ გადიოდა გადაცემა, სადაც

საუბრობდნენ: „ეკოლოგია“ ბიოლოგიის ნაწილია, რომელიც ცოცხალ ორგანიზმებსა და მათ საცხოვრებელ გარემოს შეისწავლის. ტერმინი „ეკოლოგია“ ზოგჯერ ცნების „გარემოს დაცვა“ აღსანიშნავადაც გამოიყენება, თუმცა ბოლო პერიოდში, „ეკოლოგია“ აღნიშნავს ბიოლოგიის დარგს, „გარემოს დაცვა“ კი – ადამიანის საქმიანობის შედეგად, გარემოს დეგრადაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები ქვეყნების უმეტესობას აწუხებს, რადგან გარემოს დაუცველობამ შეიძლება დიდ საფრთხე მოუტანოს ფლორას, ფაუნას და, პირველ რიგში, ადამიანებს. გარემოს დაბინძურებამ შეიძლება მრავალი მუტაცია და ავადმყოფობა გამოიწვიოს მოსახლეობაში. მაგალითად: სიმსივნე, ლეიკემია, გენეტიკური დარღვევები“. ბიჭმა პულტს კიდევ ერთხელ დააჭირა თითო და ტელევიზორის ეკრანი გაშავდა. ადგა, თავისთვის ჩაილაპარაკა,

ეს ყველაფერი ყელში ამომივიდაო და გადაწყვიტა, ქალაქის ბურუსიდან საკუთარი თავი დაეხსნა და სოფელში წასულიყო. მანქანის ფანჯრიდან გახედვაც კი არ სურდა, მტვერი და ბოლი ნისლივით იყო ჩამოწოლილი გზაზე. მდინარე საველე იყო ნაგვითა და ნარჩენებით. ტროტუარზე მკვდარი ჩიტი ეგდო. სანამ სოფელში ჩავიდა, დიტიანჯა... სოფელს რომ მიუახლოვდა, გზა გადაკეტილი დახვდა, ხალხი მანქანებს არ უშვებდა. ბოლოს, როგორც გაირკვა, მოსახლეობის პროტესტი სასამართლო წყლის დაბინძურებას ეხებოდა. დაბინძურებულმა წყალმა სოფლის მაცხოვრებლები მონანძლა. ზოგს სხეულზე დააყარა, ზოგს ალერგია მისცა, ზოგი კი ისე ცუდად გახდა, რომ სასწრაფოდ ინფექციურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ბიჭმა ღრმად ამოისუნთქა და კადრი უკან დაბრუნდა... ის კვლავ თავის ოთახში, საკუთარ საგარეო მუხის იჯდა და Discovery-ს უყურებდა, ოღონდ ამჯერად სიუჟეტი გლობა-

ლურ დათბობაზე იყო... თვალები დახუჭა და წარმოიდგინა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს გლობალურ დათბობას და ამ ყველაფერს ნათლად ხედავდა კოსმოსიდან: „დედამინაზე ნელ-ნელა ყველაფერი ქრებოდა და ორთქლდებოდა – ადამიანები, ცხოველები, მცენარეები, ფრინველები, ზღვები, ოკეანეები და დედამინა ნელ-ნელა დაცარიელდა, რალაც გაურკვეველი ფერი მიიღო, თითქოს თავად გახდა ცოცხალი ორგანიზმი და ტირილი დაიწყო...“

მას დიდი ტირითი მოშორდა, რასაც სიცოცხლე ჰქვია... ამდენს ვერ გაუძლო და მომენტალურად აფეთქდა... დედამინა წამში უამრავ ნაწილად დაიშალა...“

ბიჭმა შიშისაგან თვალები გაახილა... ის გვირილების გაშლილ მდელოზე იწვა, მის გვერდით გოგო გვირილის გვირგვინს წაწვდა, ბულბული კი ისევ გალობდა...

თინათინ მაჭაბარიანი

ამაგი დიდი შვილების

„მამათქვენი ჩვეულებრივი ბილიკით მავალი კაცი არ არის“

გამოჩენილი ქართველი მწერლის – შალვა დადიანის მამა ნიკო დადიანი დიდად განათლებული და საზოგადოებაში მიღებული პიროვნება იყო. წარმოშობით სამთავრო ოჯახის შვილს „ნიგნის კაცის“ სახელი ჰქონდა დავარდნილი და მამის – ტარიელისაგან განსხვავებით, მისი საქმიანობის უმთავრესი დრო სწორედ განათლებას ჰქონდა დათმობილი. მაგრამ, როგორც ვთქვით, ასეთი არ იყო მამამისი ტარიელ დადიანი. „ბატონი შალვა (ბატონი შვილი) დიდი ფეოდალი იყო, – წერს იპოლიტი ვართაგავა – ტარიელი ახოვანი ვაჟკაცი იყო: ცხენოსანი, მოჯირითი, ლურჯა ცხენით უყვარდა ჯირითი. მუდამ იარაღით იყო შეჭურვილი. უყვარდა ქეიფი და დროსტარება... მშვენივრად იცოდა საღმრთო წერილი, „ვეფხისტყაოსანი“, იყო იშვიათი შაირ-მთქმელი, ხმათა გამომწარხველი, ტკბილ-მგალობელი, ეკლესიაში და სუფრაზე არა ნაკლებ ტკბილ მოდილინე...“

ტარიელის შვილი ნიკო ახოვანებით მამას შესამჩნევად ჩამორჩებოდა. ლურჯა ცხენი ნიკოს არ იზიდავდა და არალთარალობაც მის ბუნებას არ ეფუძებოდა. ჩოხა-ახალუხს არ იცვამდა, იარაღში არ იყო ჩამჯდარი, არ უყვარდა ყანის ტრიალი, დროს ნადირობაში არ ჰკარგავდა. ერთი სიტყვით, ახალგაზრდა თავადიშვილი წინაპართა ჩვეული გზით არ მიდიოდა. ყველას აკვირებდა, რომ ნიკოს სულ ნიგნი ეჭირა ხელში; დღე ნანგარეებზე დაფორთხავდა, ღამე კი ვარსკვლავებს მისჩერებოდა. გონებრივად ნიკომ მამას გაუსწრო. შაირის მთქმელი ტარიელის შვილი შესამჩნევი პოეტი და ისტორიკოსი გახდა. სწავლით და შრომით ნიკომ მამას აჯობა.

ნიკომ ეროვნული შეგნებითაც დიდად გაუსწრო მეფის ერთგულ და მისი წყალობის მომლოდინე ფეოდალ მამას. შვილი მწვავედ გრძობდა საყვარელი სამშობლოს დუხჭირ მდგომარეობას, ამკარად ხედავდა, რომ ნესტანი (საქართველო) ციხეში იყო გამოწყვედილი და განუწყვეტილად მის გათავისუფლებაზე ოცნებობდა. თავის მრავალ ლექსში ახალგაზრდა ნიკო გულსტკივილს ამკარად ამჟღავნებდა.

XIX საუკუნის ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა შორის ნიკო დადიანი თავისებური და საინტერესო ფიგურას წარმოადგენდა. ნიკო პოეტი, ისტორიკოსი, ვარსკვლავთმრიცხველი, ექიმი და პედაგოგი, დღემდე ჯეროვნად არ არის შესწავლილი.

ნიჭიერება, დიდი შინაგანი სამყარო და მამულის სიყვარულის განსაკუთრებული გრძობა ნიკო დადიანს მართლაც გამოჩენილ ფიგურად წარმოაჩინდა მისი დროის საქართველოში. ს. ქვარიაძის წერს: „ნიკო დადიანი იყო ფრიად განსწავლული და ფენომენალური მესხიერების პატრონი. ხალხი მას დიდ მკურნალს და ფილოსოფოსს ეძახდა. ის იყო თავის დროზე ფრიად ცნობილი საზოგადო-

მოღვაწე, ქართული ენისა და ძველი მწერლობის უპირველესი მცოდნე“.

საყურადღებოა, რომ ნიკო ჩინებულად ფლობდა ინგლისურ ენას და იყო შექსპირის ნაწარმოებთა ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი საქართველოში. XIX საუკუნის ბოლოს „ნიკო დადიანის მეთაურობით დაარსდა ქართული მუსიკის, როგორც ჩვენი კულტურის ერთი თვალსაჩინო დარგის, შესწავლისა და გავრცელების საზოგადოება... ამ ოჯახში სმენის გიტკობა წმინდა, დაყურსული ქართული. ტონს იძლეოდა მეთაური, ეს ფენომენალური მცოდნე და მუსეტრო ქართული მეტყველებისა, თვითმპყრობელი ამ მეტყველების საიდუმლო გასაღებისა. გაისმოდა ძველი ამბები, ზოგი ნახული, ზოგიც გაგონილი და ახლა ცოცხალი, მდიდარი ფერადებით მოქარგული ენით, ოსტატურად გადმოცემული და ნორჩ სმენის პატრონთაგან – და-ძმი-საგან – ხარბად მოსმენილი და დამახსოვრებული. აქვე გაისმოდა მამის ჩონგური და მისი ასულის წკრილა ხმით ზედ დამღერებული ხალხური თუ პატრიოტული ლექსები“ (თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები; თბ. 1969; გვ. 256-257).

ნიკო დადიანს ახლო მეგობრობა აკავშირებდა თავის დროის დიდ ქართველ მოღვაწეებთან, განსაკუთრებული სიახლოვე კი მას ილიასთან ჰქონდა. ცნობილია, რომ სამეგრელოში მყოფი ილია ესტუმრა თავის მეგობარს და ეს შეხვედრა სამუდამოდ შემორჩა მამის ყმანვილი შალვა დადიანის ცნობიერებას: „ცოტა ხნის შემდეგ ეზოში შემოვიდა ასე 20-25 ცხენოსანი, რომელთა შორის, სხვებზე ცოტა ხნის, იონა მეუნარეის თანხლებით, გამოჩნდა კარგ ბედაურზე მჯდომი პირ-ბულა-ლი და თვალმცინარე ადამიანი.“

მამა რომ მიეგება, ვიცანით, რომ ილია იყო.

„გავიგე აქ ყოფილხარ ნიკო და გულმა არ მომიტოვინა, არ მენახეო“, – დაახლოებით ასეთი იყო ილიას პირველი სიტყვები.

და გაჩაღდა საუბარი, რამდენადაც მახსოვდა, ჩასაბარებელ ბიბლიოთეკაზე, საერო თოდ ძველ მწერლობაზე და განსაკუთრებით ერთს ძველს შესამჩნევ ნიგნზე „ნებროთიანზე“, რომელსაც მამა დიდად აქებდა. ბავშვობისას ჰქონდა თურმე ნანაკითხი და მოელოდა, რომ მინგელსკის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდებოდა... მამა ამბობდა, რომ ეს იყო რალაც შესანიშნავი კრებული, მგონი უფრო აპოკრიფული ხასიათისა და ზოგჯერ იგონებდა კიდევ იქიდან სხვადასხვა სხარტულ ნათქვამს და შაირს.

მამას თვით ჰქონდა ეს ნიგნი, მაგრამ როცა ეს ბიბლიოთეკა ცეცხლს უმსხვერპლია, „ნებროთიანიც“ იქ დაღუპულა“.

ეს დიდებული მოღვაწე შესანიშნავი მამა და აღმზრდელიც იყო. შალვა ბავშვობაში

სუსტი ბავშვი ყოფილა და მამამ მისი სპარტანულად აღზრდა დაიწყო, რამაც თავისი შედეგი გამოიღო და ბავშვი სრულად გაკაჟდა.

საყურადღებოა ერთი გარემოება: ნიკომ თავისი შვილები სკოლაში არ შეიყვანა და თვითონ დაიწყო მათი აღზრდა-განათლება. ი. ვართაგავა წერს: „უჩვეულოდ, ორიგინალურად ზრდიდა ნიკო დადიანი შვილებს – შალვას და მარიამს. საკმაოდ შეძლებულს მათთვის გაუფრთხილები არ მიუჩენია. შემდეგშიც თავისი შვილები არ გაუგზავნია არც რუსეთში და არც საზღვარგარეთ... ნიკომ თავის საკუთარ ოჯახში შვილს იმდენი ცოდნა მისცა, ისე მოაზარდა, რომ უმაღლესი სასწავლებელში კურსდამთავრებულს არ ჩამორჩებოდა“ (ი. ვართაგავა, დასახ. ნიგნი, გვ. 18).

ამასთან დაკავშირებით შალვასთვის დიდ ილიას უთქვამს: მამათქვენი ჩვეულებრივი ბილიკით მავალი კაცი არ არისო. „დიდმა მთაზროვნემ, მწერალმა, პუბლიცისტმა და თუ გნებავთ თეორეტიკოს-პედაგოგმა – ილიამ ნიკოს პრაქტიკულ საქმიანობაში იგრძნო დიდი პატრიოტის სულიკვეთება და თავისი ღრმა აზრი ერთ ფრაზაში გამოხატა“, – შენიშნავდა ი. ვართაგავა (იქვე).

ასე რომ, შალვა დადიანისათვის მამა მართო მშობელი კი არა, მისი მოძღვარი და გზის გამკვლავიც იყო. მამა ცდილობდა, ბრძნული რჩევა-დარიგებებით შვილები ცხოვრებისათვის მოემზადებინა. მამის მიზანი იყო, შვილი მწერლად გაეზარდა და თავადაც ჩინებულმა მოღვაწემ და მწერალმა ეს შეძლო კიდევ.

ცნობილია, რომ ცხოვრების ერთი ნაწილი შალვა დადიანმა თეატრს მიუძღვნა. ამ ამბავს ნიკო დადიანთან არ შეხვედრია. ის მიიჩნევდა, რომ ეს არ იყო მისი შვილისათვის შესაფერისი საქმიანობა. „შეიძლება შალვა სახელოვანი მსახიობი დადგეს, მაგრამ ხელოვნებით გატაცებულმა ვაითუ ცხოვრების ავან-ჩავანი ვერ გაიგოს და ხშირად მომიჯდეს, შეცვიდეს“ – გაიფიქრა ნიკომ და შვილის მისამართით ასეთი ლექსი დაწერა:

ყოველთვის ცნობდე „დროს და მხარესა“, იმხრობდე მშობელ-აღმზრდელ მხარესა. „დროს“ ეგებოდე, ალავს შევნიდე, ჭკუით შორს ჭვრეტდე ნათელ „არესა“, ნისლ-კვამლს ირევე შენსა გარესა, იგნებდე გზასა, მტერს, მოყვარესა, – და წინ სანადელ აკვანთ დამდგმელი წმინდად იცავდე „დიდთ სამარესა!“

ეს ლექსი მამას შვილისთვის არ გადაუცია, ხოლო როდესაც ნიკო მეორე დღეს სახლიდან გავიდა, შალვა მამის კაბინეტში შევიდა და ლექსი მაგიდაზე ნახა.

მამის ეს ძვირფასი ანდერძი შვილმა სათუთად ჩაიღო უბეში და მოკრძალებით შეალო

დადიანისათვის მამა მართო მშობელი კი არა, მისი მოძღვარი და გზის გამკვლავიც იყო. მამა ცდილობდა, ბრძნული რჩევა-დარიგებებით შვილები ცხოვრებისათვის მოემზადებინა. მამის მიზანი იყო, შვილი მწერლად გაეზარდა და თავადაც ჩინებულმა მოღვაწემ და მწერალმა ეს შეძლო კიდევ.

ცნობილია, რომ ცხოვრების ერთი ნაწილი შალვა დადიანმა თეატრს მიუძღვნა. ამ ამბავს ნიკო დადიანთან არ შეხვედრია. ის მიიჩნევდა, რომ ეს არ იყო მისი შვილისათვის შესაფერისი საქმიანობა. „შეიძლება შალვა სახელოვანი მსახიობი დადგეს, მაგრამ ხელოვნებით გატაცებულმა ვაითუ ცხოვრების ავან-ჩავანი ვერ გაიგოს და ხშირად მომიჯდეს, შეცვიდეს“ – გაიფიქრა ნიკომ და შვილის მისამართით ასეთი ლექსი დაწერა:

ყოველთვის ცნობდე „დროს და მხარესა“, იმხრობდე მშობელ-აღმზრდელ მხარესა. „დროს“ ეგებოდე, ალავს შევნიდე, ჭკუით შორს ჭვრეტდე ნათელ „არესა“, ნისლ-კვამლს ირევე შენსა გარესა, იგნებდე გზასა, მტერს, მოყვარესა, – და წინ სანადელ აკვანთ დამდგმელი წმინდად იცავდე „დიდთ სამარესა!“

ეს ლექსი მამას შვილისთვის არ გადაუცია, ხოლო როდესაც ნიკო მეორე დღეს სახლიდან გავიდა, შალვა მამის კაბინეტში შევიდა და ლექსი მაგიდაზე ნახა.

მამის ეს ძვირფასი ანდერძი შვილმა სათუთად ჩაიღო უბეში და მოკრძალებით შეალო



თეატრის კარი“ (ი. ვართაგავა, დასახ. ნიგნი; გვ. 36-37).

ასეთი მამა ჰყავდა დიდ ქართველ მწერალს – შალვა დადიანს. ის მუდამ ამაყი იყო თავისი მშობლით, მისი ნათელი კვალით. ნიკო, როგორც მწერალი, ვერ გამობრწყინდა ქართული მწერლობის დიდ ცაზე, სამაგიეროდ შვილს მისცა ასპარეზი, რომ ამ ცის ბრდღვიალა ვარსკვლავად ქცეულიყო. თედო სახოკია წერდა: „ნიკო დადიანს უცნაური ბედი დაჰყვა, ბევრის თქმა შეძლო, ბევრი რამ უნდა დაეტოვებინა ჩვენითვის... ხოლო ცინილა მოგვცა. თავი სიბრძნის პატარა ნაწილსა დაგვაჯერა... ალბათ შვილს უანდერძა თავის სათქმელი, გარნა უთქმელად საფლავში ჩატანილის თქმა.“

ცხადია, ძვირფასი მამის ანდერძნამავი საყვარელმა შვილმა გულდასმით წაკითხა და პირნათლად შეასრულა“.

მურად მთვარელიძე

დედამინის დღე წარმოვანში



22 აპრილს, არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის (Caucasus Environmental NGO Network) ინიციატივით, წეროვანში, გაიმართა დედამინის დღისადმი მიძღვნილი აქცია. საფუძველი ჩაეყარა სამაჩაბლოდან დევნილთა კომპაქტური

დასახლების გამწვანების პროექტს. დაირგო ხეები. აქციაში ჩვენი სკოლის მოხალისე მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. ვფიქრობ, გამწვანების ღონისძიებებში უფრო მეტი მოხალისე უნდა ჩაერთოს როგორც მოსწავლეები, ასევე ახალგაზრდო-

ბის სხვა წარმომადგენლებიც. დიდი სტიმული იყო ჩვენთვის გარემოს დაცვის მინისტრის, ბატონი გოგა ხაჩიძის აქტიური მონაწილეობა. ჩვენთან ერთად ხეები დევნილებმაც დარგეს. ეს დღე არასდროს დამავიწყდება.

თაქო ბაბაიძე
კერძო სკოლა „სარკმელი“, XII კლასის მოსწავლე

სასამაგონო იყო ჩემთვის ის ფაქტი, რომ გამწვანების ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები. მათი მონაწილეობა ჩვენთვის კარგი მაგალითი იყო. არ აქვს მნიშვნელობა, რომელი ქვეყნის მოქალაქე ხარ. ყველანი ერთი დიდი სახლის, დედამინის ბინადრები ვართ, ამიტომაც უნდა ვზრუნავდეთ მის გაჯანსაღებაზე, ვუფრთხილდებოდეთ გარემოს და არ ვაბინძურებდეთ მას.

გიორგი გუდაბანიძე
კერძო სკოლა „სარკმელი“, XII კლასის მოსწავლე

ჩემთვის ორმაგად მნიშვნელოვანი იყო ამ ღონისძიებაში მონაწილეობა. უმნიშვნელო წვლილი შევიტანე გარემოს გამწვანებაში და საშუალება მომეცა, მეჩინა როგორ ცხოვრობენ დევნილები, ჩემი მხარდაჭერა და თანადგომა გამოიხატა მათადმი. ერთ-ერთი სახლის მასპინძელი ვთხოვეთ, ეჩვენებინა თავისი საცხოვრებელი. ჩვენი თავილი გვეჩვენა გვენახა ის გარემო, რომელიც მათთვის შეიქმნა, ჰქონდათ თუ არა აუცილებელი საცხოვრებელი პირობები. მე თვითონ აფხაზეთიდან ვარ დევნილი. ჩემმა ოჯახმა ბევრი სირთულე გადაიტანა



ნა იმისთვის, რომ ელემენტარული საცხოვრებელი პირობები გვექონოდა. ჩვენ მაშინ არავინ დაგვხმარებია. ძალიან მიხარია, რომ წეროვანში მცხოვრებ დევნილებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი ცხოვრებისათვის მანამ, სანამ ჩვენ, ყველანი

საკუთარ სახლებში არ დავბრუნდებით, საიდანაც იძულებით გამოგვყარეს.

ინოზ ჩიკვატია
კერძო სკოლა „სარკმელი“, XI კლასის მოსწავლე


მეთოდისა

სახლისო ცდები ქიმიაში

ერთ-ერთ წინა სტატიაში ვისაუბრეთ ამიაკისა და ქლორწყალბადის აირებიდან ნიშადურის მარილის მიღების შესახებ. ამ მოვლენასთან დაკავშირებული თეორიული საკითხები ბევრია და საინტერესო. მინდა, გავაგრძელოთ ამაზე საუბარი, მით უმეტეს, რომ ამ ცდის „სახლისო“ საჩვენებელი ვარიანტი უამრავია და ადვილად შესასრულებელიც.

გადოსწორი ნახშირები

აიღეთ ორი ერთნაირი მოცულობის ქიმიური ჭიქა (სასურველია, უტუჩოები). ერთში ჩაასხით 10 მლ კონცენტრირებული მარილმჟავა, მეორეში 10 მლ კონცენტრირებული ნიშადურის სპირტი, იგივე ამიაკის წყალხსნარი. ორივეში ჩაჰკიდეთ ძაფზე გამოხმული ნახშირი (კაკლის ზომისები). საიმედოობისთვის ნახშირი ახალი გამოწვარი უნდა იყოს და 1-2 სასტიმტრით მალე ეკიდოს ხსნარების ზედაპირიდან. დააფარეთ ჭიქებს მინის ფირფიტები და გააჩერეთ ასე 30 წუთი. ეს ყველაფერი წინასწარ უნდა გაამზადოთ, ცდის ჩვენებამდე. მოსწავლეებთან კი, ჭიქებიდან ამოიღეთ ნახშირები და ერთად დააწყვეთ სასაგანე მინაზე. ჭიქებს კი მაშინვე ისევ სწრაფად დაახურეთ.



ნახშირები ბოლვას დაიწყებენ და სულ მალე კვამლი გაეხვევიან. ამგვარად დამუშავებული ნახშირი დიდი ხნით შეგიძლიათ შეინახოთ ცალ-ცალკე კარგად დახურულ ქილბებში და, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოთ. როგორც მიხვდით, აქ საქმე გვაქვს ნახშირების მიერ აირების შთანთქმასთან. ხის ნახ-

შირის ეს თვისება – შთანთქმის აირები ატმოსფეროდან და შეტივტივებული ნაწილაკები მღვრიე ხსნარებიდან – ფართოდ არის გამოყენებული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში ყოველთვის დიდ ადგილს ვუთმობდი მოსწავლეებში ქიმიის იმ უნარ-ჩვევების დანერგვას, რომელიც მათ ყოფაცხოვრებაში გამოადგებოდათ. ერთ-ერთი ასეთი ძალიან საჭირო საკითხია ხის ნახშირის გამოყენება სხვადასხვა მიზნით. ერთ-ერთი დიდი საკითხია აირწინაღობის თემა. მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანია ნახშირის როლი წყლის გასუფთავებაში. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთმა საქართველოს ბუნება სასმელი წყლით უზავდა დააფილდოვა, მაინც, დღესაც ბევრი სოფელია, სადაც წყლის პრობლემა კვლავ პირველ ადგილზეა. ამიტომ წყლის გასუფთავების ცოდნა ძალიან აქტუალურია. ნებისმიერი ჭუჭყიანი გუბე შეიძლება სასმელ წყლად აქციოთ. ამისთვის მხოლოდ ცოდნა საჭირო. სწორედ ამ ცოდნის მიწოდება მიმართა მნიშვნელოვნად. ამ მასალასთან დაკავშირებით, აი, რა სიუჟეტი ვნახე ინტერნეტში: მოგზაური დაიკარგა ჯუნგლებში. მის გაუჩინარებას მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ აღმოაჩენდნენ. საჭირო იყო ამ რამდენიმე დღის გატანა უცხო ადგილას. მოგზაურმა წყაროს მაგიერ ერთი დაჭაობებული ტბა იპოვა. გადანივრდა წყლის გასუფთავება. შეაგროვა ხმელი ტოტები, დაანთო ცეცხლი, დაამზადა ხის ნახშირი. თავის პიჯაკს მოაჭრა შიგნითა ჯიბე (პატარა ტომარა), ჩაყარა შიგ ნახშირი, ჯიბე ზემოდან ქვით კარგად დანაყა, შემდეგ ჩაასხა შიგ მღვრიე წყალი და გაფილტრა; წყალი ისევ შავი იყო. დააყოვნა, გადანივრა ლუდის ქილაში და აადუღა. გაგრილების შემდეგ დალია სრულიად უვნებელი სუფთა წყალი. იგივე კაცმა წყალში გარეული ნახშირიც ყლაპა, ვინაიდან ცოტა კუჭიც ჰქონდა აშლილი. ეს კი გამოიწვია უცხო ტყის ხილისა და სხვადასხვა მუხლუხობების მწვადების ჭამამ. ნახშირმა აქაც შეასრულა თავისი „მისია“ –

კუჭში დაგროვილი მავნე ნაწილაკები შთანთქმა და ორგანიზმი განმინდა. მოგზაურმა სულ მალე იგრძნო შევება. გააქტივებული ნახშირი ყველა აფთიაქში იშოვება. ახლა კიდევ ერთი მსგავსი ცდა მინდა გავაცნოთ.

კვამლის გადასვლა ბოთლიდან ჭიქაში

აიღეთ მეტალური მანგიუმის ლენტი. მისი ერთი ბოლო მიამაგრეთ საცობს, რომელიც მჭიდროდ ეხურება ძირგადაჭრილ ბოთლს. მანგიუმის ლენტი თავისუფლად უნდა ეკიდოს ბოთლში. ჯამში ჩაასხით წყალი. მანგიუმს ქვემოდან ნაუკიდეთ ცეცხლი და ბოთლი სწრაფად ჩადგით წყლიან ჯამში (ცეცხლი წყალს არ უნდა ეხებოდეს). მალე ბოთლი სქელი თეთრი ბოლით აივსება. ხოლო წყლის დონე ბოთლში მალეა აიწევს. მაგიდაზე მოშორებით გამზადებული უნდა იდგეს გამჭვირვალე ჭიქა, მისგან მოშორებით კი – ლამბაქი (ან მინის ფირფიტა), ჭიქაში ჩანვეთებული უნდა იყოს 1 წვეთი კონცენტრირებული ნიშადურის სპირტი NH₄OH, ხოლო ლამბაქი – 1 წვეთი კონცენტრირებული მარილმჟავა. დაახურეთ ლამბაქი ჭიქას და გადმოდგით „კვამლიან“ ბოთლიდან. ბოთლში ბოლი თანდათან გაქრება, ხოლო ჭიქაში თანდათან შესქელდება. იქმნება შეხედულება, თითქოს ბოთლიდან კვამლი გადავიდა ჭიქაში. სინამდვილეში, აი, რა მოხდა:



უძირო ბოთლში მანგიუმის წვით მანგიუმის ოქსიდი წარმოიქმნა. MgO მყარი ნივთიერებაა და მისმა უწვრილესმა კრისტალურმა ფანტელმა კვამლი წარმოქმნა. ბოთლში ბოლი გაქრა იმიტომ, რომ MgO-ს ნაწილი წყალში გაიხსნა, ნაწილი კი ბოთლის კედლებზე დაეფინა უწვრილესი კრისტალების სახით; ჭიქაში კვამლი განდნა ორი აირის (NH₃ და HCl) ურთიერთქმედებით ამონიუმის ქლორიდის – NH₄Cl მყარი კრისტალების წარმოქმნის გამო. თუ ბოთლი წინასწარ ხაზებით იქნება დაყოფილი ხუთ თანაბარ ნაწილად, შეგიძლიათ ატმოსფეროს შედგენილობაზეც ილაპარაკოთ. წყლის დონე ბოთლში, დაახლოებით, პირველ დანაყოფამდე აიწევს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ატმოსფეროში ჟანგბადი, დაახლოებით, ერთი მეხუთედი ნაწილია; მანგიუმში ხომ ბოთლში არსებულ ჟანგბადს გამოიყენებს წვის დროს. ჟანგბადის დახარჯვა ბოთლში წნევის შემცირებას გამოიწვევს, ეს კი, თავის მხრივ – წყლის შესრუტვას ჯამიდან. ე. ი. ბოთლში აწეული წყლის მოცულობა უდრის ბოთლში არსებული ჟანგბადის მოცულობას. ჰაერის შედგენილობა და ატმოსფეროს ისეთი თემაა, რომელიც შეიძლება სულ სხვადასხვა მიმართულებით განავრცოთ. გააჩინა, სკოლის პროგრამით რომელ მასალასთან ხართ ახლოს. აქ შეგიძლიათ ახსნათ: რატომ არის ჰაერის შედგენილობა მუდმივი; რა არის ეკოლოგი; როგორ შევინარჩუნოთ ჰაერის სისუფთავე; რა არის ამინდი; როგორ არის დამოკიდებული ადამიანის ყოფაცხოვრება ამინდის პროგნოზირებაზე და ა.შ. ინტერნეტში საინტერესო მასალა შეიძლება ნახოთ ნახშირბადთან დაკავშირებით. ესენია: „ფულერენები“, „ქარატები ჩვეულებრივ სანთურაში“, ანუ ჟანგბად-ეთილენის სანთურით როგორ იღებენ ხელოვნურ აღმასებს და სხვა უამრავ მასალას. გისურვებთ წარმატებებს.

მარიამ სურგულაძე

ხსოვნის უკვდავსაყოფად

აგვისტოში საქართველოში დატრიალებულ ტრაგედიას 124-ე საჯარო სკოლის ორი კურსდამთავრებულის სიცოცხლე შეენირა. მეგობრებსა და მასწავლებლებს მარად ემახსოვრებათ მათი მომღიმარი სახეები. ილია ბაბუციძისა და შმაგი ხაიკაშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად, სკოლის თვითმმართველობის ინიციატივით, გადაწყდა სკოლის შემოსასვლელში სკვერის გაკეთება. ამ მიზნით, თხოვნით მიმართეს სამგორის რაიონის დეპუტატს, ქალბატონ რუსუდან კერვალიშვილს, რომელიც ჩვეული გულისხმიერებით მოეკიდა სკოლის ინიციატივას.

ქალბატონი რუსუდანის ძალის-

ხმევით გარემოს დაცვის სამინისტრომ სკოლას ადგილზე მიუტანა 70 სხვადასხვა დასახელების მცენარის ნერგი. 124-ე საჯარო სკოლის დირექტორმა, ელენე შაბურიშვილმა სკოლის ეზოში შეკრებილ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სტუმრებს სკვერის გახსნის იდეა და მნიშვნელობა გააცნო.

ქალბატონმა რუსუდანმა დალუპული ბიჭების სახელზე საკუთარი ხელით ჩარგო რამდენიმე ნერგი. მან კიდევ ერთხელ გამოხატა ილია ბაბუციძისა და შმაგი ხაიკაშვილის ხსოვნისადმი პატივისცემა; მოუწოდა მოსწავლეებს, ისწავლონ და იზრომონ სამშობლოსათვის შენიღული სიცოცხლის სადიდებლად.



ბზა ტაძრისაკენ



124-ე საჯარო სკოლას სტუმრობდა ცურტაველი ეპისკოპოსი მეუფე იოანე (გამრეკელი). „საზრიანთა კლუბის“ ხელმძღვანელმა რუსუდან მურცხვალაძემ და მისმა მოსწავლეებმა ინტელექტუალური თამაშის მორიგ თემატიკად რელიგია აირჩიეს. მოსწავლეებმა შესანიშნავად გაართვეს თავი სხვადასხვა სიტუაციის შეკითხვებს რელიგიის ისტორიიდან; მისანიშნებელი ტექსტების მიხედვით, ამოიცნეს ტაძრები და სამონასტრო კომპლექსები; გუნდების კაპიტნებმა ბლიც-შეკითხვებშიც გამოიჩინეს თავი. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მათე და მარი სოხაძეები, თინიკო ხაჩიძე, ანა მოზაიძე, ანა სალიაშვილი, მერი აბუაშვილი, ლელა ოდიშარია და სხვები. ეკრანზე მოჩანდა ქრისტიანული კულტურის კერები – ტაძრები, მონასტრები.

124-ე საჯარო სკოლის დირექტორმა, ელენე შაბურიშვილმა ინტელექტუალური ღონისძიებების განსაკუთრებულ სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მნიშვნელობაზე ისაუბრა, მადლობა გადაუხადა მეუფე

იოანეს მოსწავლეების სულიერი შთაგონებისთვის, თანადგომისთვის. გამარჯვებულ გუნდებთან ერთად თამაშის ყველა მონაწილეს მეუფე იოანეს ხელით გადაეცა წამახალისებელი პრიზი – ხატები და ქრისტიანული ლიტერატურა. განსაკუთრებული ელფერი შესძინა ღონისძიებას IX-კლასელი გოგონების – გვანცა გაგნიძის, სოფო კვიციანიასა და თამარ ბარბაქაძის გალობამ; ხალხური სიმღერა შეასრულა VII კლასის მოსწავლემ კოტე რამიშვილმა. ღონისძიების მომზადებაში თავისი წვლილი შეიტანა რელიგიის მასწავლებელმა მაღვინა მარგველაშვილმა.

ღონისძიებაზე მიღებული დადებითი ემოციური მუხტი და მოძღვრის ლოცვა-კურთხევის მადლი საგზაოდ გაჰყვებოდა მოზარდებს სულიერი ამაღლებისთვის ტაძრისაკენ სავალ გზაზე.

მარინე მამარლაშვილი
124-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე

წიგნი და ახალგაზრდობა

აღდგომის დღესასწაულის მომდევნო პერიოდი – ბრწყინვალე შვიდეული – საქართველოში ბიბლიოთეკების კვირეულით აღინიშნა. ქუთაისის №7 (გამგე – ქეთევან ჩახუნაშვილი, ბიბლიოთეკარი – იზო კულაშვილი) და მე-19 (გამგე მარინე ნიჭიანიშვილი, ბიბლიოთეკარი ნესტან ტრაპაიძე) ბიბლიოთეკებში გაიმართა შეხვედრა-დიალოგები რუბრიკით – წიგნი და თანამედროვე ახალგაზრდობა. ამ ერთობლივ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკების მკითხველები, მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები და პოეტი ზაალ ებანიძე.

როგორც შეხვედრის დასაწყისში აღინიშნა, სტატისტიკური მონაცემებით, მსოფლიოს განვითარებად 48 ქვეყანას შორის, საქართველო, წიგნის კითხვის მხრივ, 41-ე ადგილზეა. ასეთ დაბალ მონაცემებს კომპიუტერიზაციის გავლენით ხსნიან. მომავალში წიგნიერების დონის კიდევ უფრო შემცირების საშიშროება არსებობს, მაშინ, როცა აშშ ამ თვალსაზრისით მე-14 ადგილზეა და ცივილიზაციის იქაური დონე კომენტარს აღარ საჭიროებს. აღინიშნა ისიც, რომ ჩვენზე უფრო განვითარებულ ქვეყნებში: გერმანიაში, შვედეთში, ჰოლანდიაში და საფრანგეთში წიგნს ვერ ცვლის კომპიუტერი.

შეხვედრის საპატიო სტუმარმა, პოეტმა, ზაალ ებანიძემ, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, გააანალიზა წიგნის კითხვის მნიშვნელობა, მიმოიხილა მისი შექმნის ისტორია და აღნიშნა, რომ აკადემიური განათლების მიღება მხოლოდ წიგნის საშუალებით შეიძლება. ბატონმა ზაალმა გამოხატა გალაკტიონის სიტყვებით დასასრულა: „თუ სადმე წახვდები, იარეთ მხოლოდ წიგნით და წიგნით“ და ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა თავისი ლექსების ახალი გამოცემები.



მკითხველთა სახელით წიგნის მნიშვნელობასა და კითხვის აუცილებლობაზე ისაუბრეს მე-2 საჯარო სკოლის (დირექტორი გიორგი მყავანძი) წარჩინებულმა მოსწავლეებმა: ნანა ტყემელაშვილმა და მარიკა ბაკურაძემ. საინტერესო საუბარმა მსმენელები, განსაკუთრებით მოზარდები, დააინტერესა, რომ ისეთი მეტაფორებისა და შედარებების გამოყენება, რომლებსაც ისინი იყენებენ თავიანთი სულიერი სამყაროს წარმოსახვნად საკუთარ ლექსებში, მხოლოდ წიგნის კითხვის ნაყოფია და არა მხოლოდ ბუნებრივი ნიჭი.

წიგნის წარმოშობის ისტორიასა და კითხვის დონის შემცირებაზე კომპიუტერიზაციის როლზე ყურადღება გაამახვილა მკითხველმა ბელა ჭითანაძემ. შემდეგ გაიმართა დიალოგი მონველ სტუმრებსა და მკითხველებს შორის. გამოიკვეთა, რომ კითხვის სწავლება მარტო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მოვალეობა არ არის. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლეებს სხვა საგ-



ნებშიც მრავლად აქვთ დავალებები, რომლებიც კითხვის სხვადასხვა სტრატეგიისა და ტექნიკის დაუფლებას მოითხოვს. დიალოგში მეც ჩავერთე და როგორც პედაგოგმა, ხაზი გავუსვი მოზარდი თაობის წიგნიერების ამაღლების საქმეში სკოლისა და ოჯახის ერთობლივ როლს. დამსწრეთ გავაცანი ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორის, სიმონ ჯანაშვილის სტატია – რას კითხულობენ მასწავლებლები? (ყურნალი „მასწავლებელი“, №1, 2009). პედაგოგებმა მეტი პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინონ მოზარდი თაობის წიგნიერების დონის ამაღლების საქმეში და თავად მისცენ მაგალითი წიგნის კითხვის სიყვარულის გამოუმუშავებაში.

მუხრან მაჭავარიანის წიგნისადმი მიძღვნილი ლექსი ნაიკითხა მე-3 კლასელმა ნინო ახალაძემ, ხოლო მშობელთა სახელით სიტყვა წარმოთქვა სოფიო კიკვაძემ, რომელმაც გაიხსენა თავისი მოსწავლეობის პერიოდი, კომუნისტური ხანა

და აღნიშნა, რომ მათ მე-5 კლასიდან ჰქონდათ კლასგარეშე კითხვისათვის სპეციალური რეგულაციები, სადაც ათავსებდნენ ნაკითხული ლიტერატურის შესახებ შთაბეჭდილებას. მისი აზრით, თუ მშობლებსაც უყვართ კითხვა, შეილებიც კითხულობენ.

ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ თავიანთი შეხედულებები და მოსაზრებები გამოთქვეს სამეცნიერო ბიბლიოთეკის მეთოდური განყოფილების წარმომადგენლებმა: ნორა ლომთაძემ და ინგა გვერცხაძემ. მათ დადებითად შეაფასეს №7 და №19 ბიბლიოთეკების მუშაობა და პედაგოგებს თანამშრომლობა და დახმარება სთხოვეს მოზარდების წიგნით დაინტერესების საქმეში. მათ მოინდონეს ბატონ სიმონ ჯანაშვილის წერილი გამოთქმული მოსაზრებები, კერძოდ, შემდეგი სიტყვები: „ძნელია, მოსწავლეს აუხსნა, რატომ მიიღებს ის სიამოვნებას წიგნის კითხვით, თუ ვერ დაინახავს, სხვები ამას როგორ ახერხებენ. სწორედ ამიტომ უნდა კითხულობდეს მასწავლებელი და ეს ცნობილი უნდა იყოს მოსწავლეთათვის.“

მარინე უკლება

P.S. შეხვედრა-დიალოგის შემდეგ ინდივიდუალურად გავესაუბრეთ მკითხველებს და აღმოჩნდა, რომ მშობლებს უფრო მეტი ლიტერატურა ჰქონდათ ნაკითხული მათ ასაკში, ვიდრე შეილებს. სამწუხაროა, მაგრამ რეალობას ვერ გავიქცევით – მოზარდთა უმრავლესობამ არათუ ბოლოს ნაკითხული წიგნი, საყვარელი მწერალიც კი ვერ დაასახელა. გამოიკვეთა, რომ მოზარდებს უფრო დეტალური და სათავგადასავლო უნარის წიგნები იზიდავთ. ერთ-ერთმა ისიც განაცხადა, რომ თანამედროვე ქართველ მწერლებს საერთოდ არ იცნობს...

რუსთაველი ბრძანებს – „დიდი ლხინია, ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდას“. ესლა დავგრჩენია იმედად.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები სპორტული დარბაზით ისარგებლებენ



198-ე საჯარო სკოლაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები სწავლობენ. მოსწავლეებს ფიზიკულტურის გაკვეთილები აქამდე სკოლის ეზოში განთავსებულ სპორტულ მოედანზე უტარდებოდათ. სკოლის სპორტული დარბაზი არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობელთა ხიდის“ ძალისხმევითა და იაპონიის საელჩოს დაფინანსებით გარემონტდა, აღიჭურვა სპორტული ინვენტარით, სპეციალური ტრენაჟორები კი სკოლამ საგრანტო კონკურსში გამარჯვების შედეგად მიიღო.



ახალი სპორტული დარბაზი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ, ირინე ქურდაძემ, იაპონიის ელჩთან საქართველოში მასაიოში კამოჰარასთან ერთად, განხა. ამ დღეს სკოლას პარლამენტარი გიორგი ასანიძე და ბევრი მეგობარი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი ენვია. სტუმრები ბავშვების მიერ გამართულ სპორტულ ღონისძიებას დაესწრნენ და მოსწავლეთა მიერ დამზადებული სხვადასხვა ნაკეთობათა გამოფენა დაათვალიერეს.



198-ე სკოლაში ამჟამად 29 მასწავლებელი მუშაობს და 150 ბავშვი სწავლობს. 2006 წელს, მეგაპროგრამა „იაკობ გოგებაშვილის“ ფარგლებში, სკოლაში ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაზეც 162 900 ლარამდე დაიხარჯა.



სკოლის მოსწავლეები სისტემატურად მონაწილეობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სპორტულ ოლიმპიადებში. შარშან სკოლიდან იტალიაში სამი მოსწავლე გაიგზავნა მძლეოსნობის ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად და სამივე ოქროს მედლით დაბრუნდა.

მინისტრის პირველი მოადგილე დეტალურად გაცნო 198-ე საჯარო სკოლაში ჯერ კიდევ არსებულ პრობლემას, რაც, ძირითადად, სასწავლო კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან არის დაკავშირებული.

პირველი ტურის

გამარჯვებულები გამოვლინდნენ

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის I ტურში გამარჯვებულ მოსწავლეებს შეხვდნენ. შეხვედრას ესწრებოდა მინისტრის პირველი მოადგილე ირინე ქურდაძე. წელს ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში მონაწილეობის სურვილი უპრეცედენტო რაოდენობის მოსწავლემ გამოთქვა. ეროვნულ ოლიმპიადაში საქართველოს სკოლების 95% მონაწილეობდა. სასწავლო ოლიმპიადის პირველ ტურში 1366 მოსწავლემ გაიმარჯვა. ოლიმპიადის ტარდება როგორც ქართულ, ასევე სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე.

არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის - 24; მათემატიკა - 277 მოსწავლე, ამათგან არაქართულენოვანი - 3; ისტორია - 242 მოსწავლე, ამათგან არაქართულენოვანი - 2; გეოგრაფია - 237 მოსწავლე, ამათგან არაქართულენოვანი - 5; ფიზიკა - 183 მოსწავლე, ამათგან არაქართულენოვანი - 3; ქიმია - 38 მოსწავლე, ამათგან არაქართულენოვანი - 8; ბიოლოგია - 207 მოსწავლე, ამათგან არაქართულენოვანი - 4; ინფორმატიკა - 54 მოსწავლე. ისტორიის ოლიმპიადის დასკვნით ტურში ერთი უსინათლო მოსწავლე მონაწილეობს.

სასწავლო ოლიმპიადის დასკვნითი ტური 2-3 მაისს ჩატარდება და მას გამოცდების ეროვნული ცენტრი ჩაატარებს. დასკვნით ტურში გამარჯვებული 10 მოსწავლე ეროვნული ნაკრების წევრი გახდება და მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას.



დაუსწრებელი მოგზაურობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

თბილისის №2 საჯარო სკოლის (დირექტორი ლია სოლოლაშვილი) გეოგრაფიის კაბინეტის მინიჭებული აქვს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დავით უკლებას სახელი.

3 აპრილს სკოლაში კიდევ ერთხელ გაიხსენეს ბატონ დავით უკლებას ღვაწლი და დამსახურება გეოგრაფიის წინაშე. სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლის, გეოგრაფიის დოქტორის, რაფიელ დანიბეგაშვილის პრემიის ლაურეატის, ნუგზარ არჩვაძის ინიციატივით, მოენყო უჩვეულო დაუსწრებელი მოგზაურობა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მოგზაურობის მონაწილეები გახდნენ მონვეული სტუმრები, პროფესორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი კობა ხარაძე, გეოგრაფიის დოქტორები: ეთერ დავითაია, ელენე სალუქვაძე, მეცნიერ დავით უკლებას შვილები - მანანა და მაია.

სკოლის რუსული და ქართული სექტორის მოსწავლეებმა - გვანცა სოსელიამ, ელზა ერცვანიამ, გიორგი კილასონიამ, დიანა ტელიანიამ,



ოლლა დრაგანმა, მადონა შუმანმა, ლიზა სინჩაგაშვილმა, გალინა გოდერიძემ, გიორგი გრიგოლაჯამ, მარინა მანუკოვამ, როენა ახობაძემ, თანამედროვე ტექნოლოგიების გა-

მოყენებით, მოაწყვეს პრეზენტაციები შემდეგ თემებზე: „ვიკინგები“, „ჯორჯ ვაშინგტონი“, „აშშ-ს ბუნებრივი პირობები და რესურსები“, „მოსახლეობა, ენა, რელიგია,

ფულის ერთეული“, „აშშ-ს ეკონომიკა“, „თანამედროვე პოლიტიკა და პრეზიდენტი ბარაკ ობამა“, „ჯორჯ ბლანჩინი“, „აშშ-ს ტურიზმი“. პრეზენტაციები ქართულ, რუსულ და

ინგლისურ ენებზე გაიმართა.

დაუსწრებელი მოგზაურობა საკუთარი შთაბეჭდილებებით შეავსო სკოლის დირექტორმა, ლია სოლოლაშვილმა, რომელმაც ცოტა ხნის წინ იმოგზაურა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

დამსწრე საზოგადოებამ მაღალი შეფასება მისცა ჩატარებულ ღონისძიებას და აღნიშნა, რომ მსგავსი მუშაობა მოსწავლეებში ცოდნის გაღრმავების დიდ ინტერესს იწვევს.

დიდი მეცნიერის შვილებმა მაღლობა გადაუხადეს ღონისძიების მესვეურთ წლების განმავლობაში მათ შორის არსებული საქმიანი ურთიერთობისთვის, გეოგრაფიის კაბინეტს საჩუქრად პოლანდიის ატლასი და მაია უკლებას მიერ გამოქვეყნებული შრომები გადასცეს. ბატონმა კობა ხარაძემ წარმატებები უსურვა სკოლის კოლექტივს და მოსწავლეებს თავისი შრომები უსახსოვრა.

გეოგრაფიის კაბინეტში კვლავ იგეგმება მომავალი საინტერესო მოგზაურობები.

ელისო ფიცხელაური
№2 საჯარო სკოლის
ბიბლიოთეკარი

„თვით უკვდავებას არ არსებობს უსიყვარულოდ...“

„სიყვარული აღვამაღლებს ვით ეფუანნი ამას უღერენ“ - ეს სტრიქონი კი საკმარისია იმის მისახვედრად, რომ ადამიანში უმაღლესი და უზენაესი გრძნობა სიყვარულია და მხოლოდ მას შეუძლია პიროვნების საბოლოოდ ჩამოყალიბება და დახვეწა... სიყვარული, ანუ მიჯნურობა, როგორც მას რუსთაველი უწოდებს, „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი თემაა. რუსთაველი ახსენებს პირველ, ზეციური წარმომავლობის მიჯნურობას, რომელიც ძნელად გამოსათქმელია, ერთი ძნელად გამოსახატავი. იგი არის ზეციური, საღვთო საქმე. ვინც შეეცდება და მიჯნურობის გზას დაადგება, მრავალი განსაცდელის მოთმენა მოუწევს:

„ეთქა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა, ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა; იგია საქმე სა ზეო, მომცემი აღმაფრენათა; ვინცა ეცდებოდა, თობამაცა ჰქონდა მრავალთა წყენათა...“
„თუმცა, ვარდი უეკლავა არავის მოუკრეფია“ და პოემის გმირებიც მრავალ განსაცდელს შეეყრებიან, სანამ საბოლოოდ ერთად იქნებოდნენ. მიჯნურობა რაინდმა საგმირო საქმეებით უნდა მოიპოვოს სატრფოს სახელი. ნესტანი ტარიელს პირველსავე წერილში წერს:

„ბნედიტი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია? სკობს საყვარელსა უჩვენენ საქმენი საგმირონია.“
თინათინიც ავთანდილს შეახსენებს, რომ მიჯნურის უპირველესი მოვალეობაა სატრფოს სამსახური:
„ასრე გითხრა სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად, პირველ ყმა ხარ ხორციელი, არვინა გყავს შენად სწორად, მერმე ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაჭორად...“
„ვეფხისტყაოსნის“ გმირები მრავალ განსაცდელს გაივლიან, განმორებას გადაიტანენ, გამოცდებს გაუძლებენ, რადგან სწამთ, რომ ისინი გულთი სიყვარულს დაატარებენ, რომელიც აღვამაღლებს და პავლე მოციქულის სიტყვებით რომ ვთქვათ, „არა სადა დაეარდები...“

რუსთაველის შემდეგ სიყვარულის სულიერი სანწყისების ძიება ქართველმა რომანტიკოსებმა დაიწყეს. ამ ახალ გზაზე პირველი ნაბიჯი ალექსანდრე ჭავჭავაძემ გადადგა. მისი ლექსი „სიყვარულო, ძალსა შენსა“ ქართული სატრფიალო ლირიკის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია:

„სიყვარულო, ძალსა შენსა, ვინ არს, რომე არ ჰმონებდეს ვინ არს, რომე გულსა ტახტად, ოხვრას ხარკად არა გცემდეს? შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს.“
გრიგოლ ორბელიანის მთელი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ფარული კონფლიქტი სიყვარულთან. მან ყურადღება გაამახვილა ამ გრძნობის სულიერ სანწყისებსა და მარადიულობაზე. გრიგოლ ორბელიანის აზრით, სულის უკვდავება სიყვარულის უკვდავებასთან არის დაკავშირებული. პოეტი თავის სატრფიალო ლექსებში წერს:

„რა უნდა აქნდეს სულსა უკვდავი, თუ მას ვანქრეს კვლავ სიყვარული...“
ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებში გვხვდება სატრფიალო ლირიკისათვის დამახასიათებელი ტრადიციული გამოთქმები: შავი თვალები, გიშრის დალაღები, სპეტაკი მკერდი:
„მაღლი შენს გამწენს ლამაზო, ქალო შევთვალედიანო, დღისით მზეზე, ღამეზე მთოვარევე, წყნარო და არად ხმინაო!“
ანდა:
„შენნი დალაღნი ყრილობენ გველად სპეტაკს მკერდზედა ტრფობისა ველად

და თვალთა ჩემთა ადავრისებენ ხან ნუგეშისთვის, ხან დასანყველად.“
თუ ამით მივაკუთვებით ვნებიან ამოძახილს: „ჰოი, საყურო, გრძნობის ამრევი!“ ცხადი გახდება, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო გულგრილი ქალის გარეგნული სილამაზის მიმართ, მაგრამ იგი რომანტიკოსი პოეტი იყო და მისთვის გაცილებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდა არსის მოვლენისას, ვიდრე თვით მოვლენას. სიყვარულიც მისთვის, უპირველეს ყოვლისა, სულიერ გრძნობა იყო. პოეტი ლექსში „სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენი“, სატრფოს სახე საბოლოოდ გათავისუფლებულია ხორციელებისაგან:

„სახე შენი მოწყენილი არა ჰგავდა ხორციელსა!“ რადგან: „სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების და ვით ყვავილი თავის დროზე მსწრაფლად დაჭკნების, აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამწყვალეტი ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები!“
ნიკოლოზ ბარათაშვილს სწამს, რომ მშვენიერება ნათელია, „ზეციით მოსული“ და სიყვარულიც ხორციელი ტკობის წყარო კი არ არის, მშვენიერ სულთა მარადიული კავშირია. მისი ლექსების მიხედვით, როგორც გ. ქიქოძე აღნიშნავს, ადამიანი სიყვარულის შემწეობით ადის უკვდავების განცდამდე და ნარუვალე ჭეშმარიტების შეგნებამდე:

„თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს, მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს, მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა შობს სიყვარულსა, ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა!“
ნათქვამია, ღამის წყვილად, როცა თვალი ვერაფერს ხედავს, კაცი საკუთარი სულის სინათლეს ანთებსო. გალაკტიონმაც საკუთარი სულის სინათლე აანთო წყვილიდან საბრძოლველად და გამოჰკვეთა მშვენიერი ოცნება, ქალწული მერი. ოსტატმა თავისივე ქმნილება შეიყვარა, რადგან იცოდა:

„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება უსიხარულოდ...“
უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ.“
ოცნებამაც ვერ უერთგულა გალაკტიონს. მოხდა საშინელი, თავზარდამცემი ტრაგედია:

„შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი, მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა, სანდომიან ცის ელვა და ფერი მწუხარე იყო, ვით შემოდგომა.“
გაცხადდა მტანჯველი წინათგრძნობა: „მე ის არა ვარ, ვინაც შენ გსურდა.“ სხვაა, როდესაც გლალატობს კონკრეტული ქალი. მის ღალატს შეგიძლია მრისხანე ლექსები დაატეხო, მოლაღატეს უწოდო ევა, მთელი კაცობრიობის ცოდვების მიზეზი და ბოდღერივით გაბოროტებული სტრუქტურებით თავი მოსჭრა ქალთა მთელ მოდგმას.

მაგრამ როცა გლალატობს საკუთარი იდეალი, შენს მიერ და შენთვის შექმნილი, უსხეულო, არამქვეყნიური - ეს ბედის მსხვერუვაა, შემომქმედის ტრაგედიაა:
„ან მესაფლავებს რისთვის ვმღეროდი, ან ვინ ისმენდა ჩემს მე და ღამეს...“
ბედი ჟამს ვაჰყვა, როგორც ნამქერი. მაგრამ იბადება „სიშორის სიახლოვე“ და მერი, როგორც მიუზნდომელი იდეალი,

სამუდამოდ რჩება გალაკტიონის ლექსებში. რეალური ქალი იყო... იყო სიყვარულიც, დიდი და ძლიერი. მაგრამ ვინ იყო ის ცისფერი ქალი, საკუთარი სულიდან ამოზრდილი? გალაკტიონი ხომ თვითონვე კითხულობს: „ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი?“ ვინ იყო ის, ვისაც გალაკტიონი ასე დაუყნებდა:

„ვერ გპოვევ ვერასდროს... ვერასდროს! შენი მე სახე დამდევს თან ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!...“
ვის ელოდა იგი ასეთი მტანჯველი მოლოდინით: „ამაოდ მომემის დედოფალით გროვიდა ძახილი უცნობი, მსუბუქი, ცისმარი. მე მოვალ და მრავალ ყვავილებს მოგვიტან, მე მოვალ, მე მოვალ - სიზმარი!“ ეს ის მიუწვდომელი, ხორცშუესხმელი ლანდი იყო, რომელმაც შემდეგ მერის სახე მიიღო, მაგრამ ოცნებისუღმა ვერ აიტანა განსხეულება, ისევ გაქრა და სამუდამოდ დაიღო ბინა შორეულ ოცნებაში:
„რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები! მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი.“

გალაკტიონი ბოლომდე დარჩა მის მიერ შექმნილი იდეალის ერთგული. მერიც ხომ თვითონვე გაიმეტა, ოცნება რომ ოცნებად დარჩენილიყო. როცა ოცნების სასახლეში ცხოვრობ, ოცნების ერთგულიც უნდა იყო, რადგან „სიყვარული სასახლეში მხოლოდ ერთხელ მოდის.“ გალაკტიონის ოცნებას, პოეზიას და სიცოცხლესაც მხოლოდ ერთი რამ ასაზრდოებდა - სიყვარული და მისი კოსმიური ძალის შეგრძნება. ოცნებისუღი სიყვარული და მისი სითბო იყო ამ მარტოხელა კაცისათვის სასიცოცხლო ძალის მომცემი.

მაშასადამე, სიყვარული უძლიერესი გრძნობაა; იგი ადამიანის ცხოვრებაში გადაწყვეტ როლს თამაშობს: სიყვარული ადამიანის ბედნიერებასთან არის დაკავშირებული. ის თითოეულის ცხოვრებას ღამაზსა და მიმზიდველს ხდის, შინაწინა აძლევს მას. სიყვარული ადამიანური, ჰუმანური გრძნობაა. სიყვარულია ის, რასაც სახელს ვერ არქმევს სულხან-საბა ორბელიანი, იგი დიდი, განუმარტავი წიგნია; ბედნიერება საიქიოში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ აქ, ამქვეყნად, ადამიანთა ურთიერთგაგებასა და სიყვარულში.

ყველაზე დიდი ჯილდო, რომლის გაცემა ან მიღება შეგიძლია, სიყვარულია. თუ ვინმემ ოდესმე გითხრა, რომ სიყვარული არ არსებობს, ასეთ ადამიანს არც უნდა შეეკამათო, იგი საცოდავია. ვისაც არავინ უყვარს, ის არც არავის შეუყვარდება.

რაც შეეხება, ანგარებიან ქორწინებას, მიმაჩნია, რომ იგი თავიდანვე განწირულია. ბოლო დროს ხშირად მესმის, ქალები უფრო გააქტიურდნენ, მამაკაცებს დასდევენ, კაცებს კი დაოჯახება აღარ უნდათ. ამის მიზეზად უფრო სამსახურს, დროის დეფიციტს და ინტერნეტი სიყვარულს ასახელებენ ხოლმე. ჩვენ მოგიწოდებთ ორივე სქესის წარმომადგენლებს, რომ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო, მთლად ინტერნეტის იმედდაცნუ დარჩებით, გართობა კი კარგია, მაგრამ რეალური ცხოვრება არ დაგავიწყდეთ! კარგად გაახილეთ თვალები, ბედნიერება ზოგჯერ იმაზე ახლოსაა, ვიდრე თქვენ გგონიათ, მაგრამ ვერ ამჩნევთ მას!..

სიყვარული გზაა სრულყოფილებისაკენ. მოდი, ვიაროთ ამ გზით - სრულყოფილებისაკენ!..

ასამთ შამუშია

სტარტები



თბილისის 142-ე საჯარო სკოლა სპორტული მიღწევებით ყოველთვის გამოირჩეოდა. აქაურები „ლამის შოუს“ წამყვან **ვანო ჯავახიშვილისა** თუ საზოგადოებისთვის ნაცნობი სხვა სახეების გვერდით, ცნობილი სპორტსმენების აღზრდითაც ამყობენ. უპირველესად, ფეხბურთელ **გოგიტა გოგუათი**, თუმცა საამაყო მოსწავლე დღესაც მოეპოვება – მძლეოსანი **თამარ გაფრინდაშვილი**, რომელიც საქართველოს რამდენიმეჯერ ჩემპიონია თანატოლებში. აქ სპორტისა და ფიზკულტურის ავანგარდში წლების განმავლობაში **თალიკო კარანაძე** იდგა, რომელიც კვლავაც ემსახურება საყვარელ საქმეს, ბოლო წლებში კი მას პრეზიდენტის სტიპენდიანტი პედაგოგი **გოდერძი შურღაია**ც შეუერთდა.

ამ სკოლაში „მხიარული სტარტების“ ისტორია 2 ათეული წელიწადზე მეტს ითვლის და მუდამ დიდი წარმატებით გამოდიოდნენ მასში. ტრადიცია წარმატებით გრძელდება და სკოლა ახალაღორძინებულ „მხიარული სტარტების“ რესპუბლიკურ გათამაშებაში პირველივე სეზონიდან მონაწილეობს. იმ გათამაშებაში ერთადერთი ქულა დააკლდათ ფინალამდე და აქაურები ახლაც სინანულით იგონებენ, რომ მაშინ ის ერთქულიანი სხვაობაც სხვათა უნებლიე შეცდომამ განაპირობა. სკოლა ამ ტურნირში წლებსაც ჩაება და პირველი ეტაპი წარმატებით დაძლია, ოთხშაბათს კი შიდაპირველობა დაიწყო II-VI კლასელთა მონაწილეობით.

ამ ტურნირის ორგანიზატორი გოდერძი შურღაიაა, რომელსაც, თალიკო

ვილავა, როგორც სპორტული შეჯიბრების დიდი გულშემატკივარი, მათ გვერდითაა და უკლებლივ ყველა საორგანიზაციო საკითხში პირადად მონაწილეობს. მასპინძლები იმდენად გულდაგულ მოემზადნენ ტურნირისთვის, რომ კომპოზიტორ **ჯანო თითირაშვილს** პიმნიც კი დაუკვეთეს და გახსნის ცერემონიაზე ააჟღერეს. შეჯიბრებამ არა მარტო ბავშვების, არამედ



მშობლების დიდი ინტერესიც გამოიწვია, რომლებსაც ერთ-ერთ ნომინაციაში მონაწილეობაც კი შეეძლოთ. ტურნირი რამდენიმე ეტაპად ტარდება და გაზაფხულს სკოლის ნაკრებისთვის კანდიდატებს გამოავლენს, 21 მაისს კი გამარჯვებული გამოვლინდება.



კარანაძის გარდა, ეხმარებოდნენ ფიზკულტურის მასწავლებლები – **გიორგი გაბუნია**, **პეპელა ქართველიშვილი**, **მანანა კავკასიძე** და **გია აფციაური**. ცხადია, სკოლის დირექტორი **სოსო ლაგ-**

გუშინ ერთმანეთს მეორეკლასელები ეჯიბრებოდნენ – II კლასის გუნდი „ცისარტყელა“ (კლასის დამრიგებელი – **ნაირა გერმისაშვილი**) II-III კლასის გუნდ „ფუტკრებს“ (დამრიგებელი –

ნანა ჩიხრაძე) ხვდებოდა, II-IV – „ვეფხვებს“ (ეს რუსული სექტორია, დამრიგებელი – **ლუდმილა ვოლკოვა-ჩიქობავა**), II^ბ – „ლომებს“ (დამრიგებელი – **ნანა მეტრეველი**). თავიდან მონაწილეებმა მისასალმებელი ნომრები წარმოადგინეს, რომელიც, ძირითადად, ყველა კარგი გახლდათ, მაგრამ მრავალფეროვნებით, ორიგინალობით და შესრულების ხარისხით „ლომები“ და „ცისარტყელა“ ცოტათი მაინც გამოირჩეოდა. მონაწილენი 13 ნომინაციაში ფასდებოდნენ და საბოლოოდ „ცისარტყელამ“ „ფუტკრებს“ 117:82 მოუგო, „ლომებმა“ კი მეტოქეს 123:87 აჯობეს. ხვალ ეს გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან. ნამდვილად მისასალმებელი იყო პატარების უინი და გამარჯვებისკენ სწრაფვის სურვილი, თუმცა ყველაფერმა საზეიმო და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა. ცხადია, წაგება არავის გახარებია, მაგრამ პატარებმა მარცხი ვაჟკაცურად გადაიტანეს და მეტოქეთა სიძლიერე რაინდულად მიიღეს. იქნებ სუბიექტურიც ვიყოთ, მაგრამ მოგვეჩვენა, რომ მთელ რიგ კომპონენტებში „ლომები“ უფრო სპორტულები, უფრო კარგად მომზადებულები იყვნენ.

მოსწავლე სპორტსმენთა ჩემპიონატი ქიულოში

2009 წლის 4-5 აპრილს, თბილისის №59 საჯარო სკოლის ინიციატივით, სკოლის სპორტულ ბაზაზე ჩატარდა გლდანინაძეალაღვის რაიონის საჯარო სკოლების მოსწავლე სპორტსმენთა პირველი ჩემპიონატი ქიულოში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რაიონის 20 საჯარო სკოლა. შეჯიბრება გაიმართა ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესდებით. შეჯიბრების დებულება შეთანხმებულ იქნა ძიუდოს ეროვნულ ფედერაციასთან. ასპარეზზე გამოვიდნენ 1991, 1992 და 1993 წლებში დაბადებული მოსწავლე სპორტსმენები 45, 50, 55, 60, 66, 73, 81 და +81 წონით კატეგორიებში. შეჯიბრების დასკვნითი შედეგების მიხედვით, გუნდური პირველი ადგილი დაიკავა №6 საჯარო სკოლის გუნდმა, მეორე ადგილზე გავიდნენ №59 და სოფელ გლდანის საჯარო სკოლების გუნდები, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა №115 საჯარო სკოლის გუნდმა. საპრიზო ადგილებზე გასულ მოსწავლეებს გადაეცათ მედალები, დიპლომები და ფასიანი საჩუქრები, ყველა დანარჩენ მოსწავლეს გადაეცა სიგელი ჩემპიონატში მონაწილეობისათვის.

სკოლას, ჩემპიონატის მალალ დონეზე ჩატარებაში, დიდი დახმარება გაუწია საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა გაერთიანებულმა პროფკავშირმა და საქართველოს ძიუდოს ეროვნულმა ფედერაციამ.

ჩატარებული ჩემპიონატი ხელს შეუწყობს როგორც სპორტის ამ სახეობის შემდგომი პოპულარიზაციის, ასევე მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდისა და ფიზიკური განვითარების საქმეს.

ჩემპიონატში საპრიზო ადგილებზე გასულ სპორტსმენ მოსწავლეთა სია:

45 კგ.	I გიორგი მეტრეველი	№6 სკოლა	VII კლასი
	II გიორგი ჭინჭარაული	№59 სკოლა	IX კლასი
	III გიორგი ბურდული	სოფ. გლდანის სკოლა	X კლასი
	III იმარ ბელიძე	№6 სკოლა	VII კლასი
50 კგ.	I ნიკა შიომღვიმელი	№16 სკოლა	X კლასი
	II ნიკა ცოფურაშვილი	სოფ. გლდანის სკოლა	X კლასი
	III თორნიკე ხმალაძე	№4 სკოლა	X კლასი
	III ნიკა მარტიანი	№191 სკოლა	IX კლასი
55 კგ.	I ლაშა ანანიასვილი	№115 სკოლა	X კლასი
	II გიორგი ირემაშვილი	სოფ. გლდანის სკოლა	VIII კლასი
	III ცოტნე მეტრეველი	№207 სკოლა	VIII კლასი
	III ნიკა იასალაშვილი	№129 სკოლა	IX კლასი
60 კგ.	I ლუკა ჯაში	№6 სკოლა	X კლასი
	II თორნიკე ქუმისაშვილი	№175 სკოლა	XII კლასი
	III შალვა შუბითიძე	№8 სკოლა	X კლასი
	III ირაკლი როსტიაშვილი	სოფელ გლდანის სკოლა	XI კლასი
66 კგ.	I ზვიად გერგედავა	№6 სკოლა	IX კლასი
	II თორნიკე ფიცხელაური	№115 სკოლა	X კლასი
	III გიორგი კელეხაშვილი	№118 სკოლა	IX კლასი
	III ალექსი ჭინჭარაული	№59 სკოლა	XII კლასი
73 კგ.	I დავით ჯამბურაძე	№6 სკოლა	XII კლასი
	II გიორგი მახარაშვილი	№59 სკოლა	XI კლასი
	III ლევან სონღულაშვილი	№6 სკოლა	XI კლასი
	III ლუკა ყირიმელი	სოფელ გლდანის სკოლა	XI კლასი
81 კგ.	I მურთაზ პეტრიაშვილი	№59 სკოლა	XI კლასი
	II ლაშა ჯანაშვილი	№141 სკოლა	XI კლასი
	III ჯემალ ზურაშვილი	№175 სკოლა	XI კლასი
	III გიორგი მალუტაშვილი	№6 სკოლა	XII კლასი
+81 კგ.	I ვაჟა დაბრუნდაშვილი	№129 სკოლა	XII კლასი
	II ვახტანგ ოქრუაშვილი	№45 სკოლა	XII კლასი
	III კახა გაზაშვილი	№207 სკოლა	XI კლასი
	III დათო ნოზაძე	№160 სკოლა	XI კლასი

ირაკლი თაბაძე

ქეთევან შაყილაძე

კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის კოორდინატორი

ანალიტიკური ტანათლეტა

მისამართი: ტაბატაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027. E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru

რაბისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაცია ხელმოწერისთვის: 76096

გაზეთი რაბისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რაბისტრირებულია ხელმოწერისთვის არ რეკონსტრუირდება და ავტორებს არ უპრეზენტება.

რედაქციის რეკონსტრუირება: საპარტოველო ბანკი: ს/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000